ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 11 – 12 იანვარი, 2020 №8 (8272) ფასი: 60 თეთრი


გვ.5

ზურაბ ბუდაღაშვილსა და შს სამინისტროს თანამშრომელს შორის სასამართლოზე შეკამათება მოხდა

## ლაშა ჩიქოვანს 3.000 ლარიანი გირაო შეეფარდა


გვ.5

# „სიტყვები ნაძირლები და ნაბიჭვრები ეხებათ იმათ, ვინც აყალბებს ჩემს საქმეს“

მოსამართლე გიორგი არევაძემ ნიკა გვარამია 500 ლარით დააჯარიმა და თვითაცილება გამოაცხადა


გვ.2

## „ოპოზიცია „ოცნებას“ ყველანაირ არჩევნებს მოუგებს“

მურმან დუმბაძე: „ხელისუფლებიდან უნდა გავუშვათ არა გახარია, არამედ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“


გვ.3

## თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილი ეცდება, მთელი ნეგატივი გახარიას გააყოლოს“

„მთავარი მიზანი ივანიშვილის მოშორებაა, მან დასავლეთთან ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა“


გვ.4


გვ.3

## ვახტანგ მაისაია: „მსოფლიო წკიპზე დგას“

თალიბებიც და ირანიც ისლამურ სახალიფოს ებრძვიან


გვ.4

## ოკუპირებული აფხაზეთი: მეორედება თუ არა 2014 წლის გადატრიალება?

## „ხაჯიმბას დღეები დათვლილია, აფხაზური ოპოზიციის უკან ანქვაბი დგას“


გვ.3

პაატა დავითაია: „აფხაზეთში რუსეთის საწინააღმდეგო სცენარი ხორციელდება, მაგრამ ის არ არის საქართველოს სასიკეთო“

ISSN 1987-9385

2 აქტივისტი შაკო კუჭაშვილი და ოთო კახიძე ერთმანეთს ხელით შეეხნენ

2 მამუკა მდინარაძე: „სამთავრობო ცვლილებები სადღაც ნიუსრუმშია მოგონილი“

5 ზუგდიდთან სამარშრუტო ტაქსი ამოყირავდა რამდენიმე ადამიანი დაშავდა

6 უკრაინული ბოინგი ირანულმა რაკეტამ ჩამოაგდო?

# „სიტყვები ნაძირლები და ნაბიჭვრები ეხებათ იმათ, ვინც აყალბებს ჩემს საქმეს“

## მოსამართლე გიორგი არევაძემ ნიკა გვარამია 500 ლარით დააჯარიმა და თვითაცილება გამოაცხადა

10 იანვარს მოსამართლის შეურაცხყოფის გამო სამაუწყებლო კომპანია „რუსთავის 2-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია 500 ლარით დაჯარიმდა.

ამის შემდეგ პროცესზე მოსამართლე გიორგი არევაძემ თვითაცილება გამოაცხადა. სასამართლოს წინაშე დღეს შესავალი სიტყვით დაცვის მხარე უნდა წარდგენილიყო, თუმცა პროცესი გადაიდო.

ყველაფერი ასე მოხდა.

მოსამართლე გიორგი არევაძემ ნიკა გვარამიას 3 იანვარს გაკეთებულ „შეურაცხმყოფელი შინაარსის განცხადებებზე“ განმარტებები მოსთხოვა.

— თქვენ იყავით სრულიად არაადეკვატური, — ასე უპასუხა გვარამიამ მოსამართლეს.

მან დააზუსტა, რომ ეს მისი შეფასება იყო, რაც გამოხატვის თავისუფლებით დაცულია.

— არის თუ არა სწორი, როცა ასეთ სიტყვებს იყენებთ მოსამართლის მიმართ? — ჰკითხა მოსამართლემ ნიკა გვარამიას, რაზეც გვარამიამ ასე უპასუხა:

— თუ არ მიგაჩნიათ კანონიერად, მიმართეთ სასამართლოს. არ ვიზიარებ თქვენს პოზიციას, რომ შეურაცხმყოფელი იყო.

მოსამართლემ ნიკა გვარამიას დაზუსტება სთხოვა, სიტყვები: „ნაძირალა“, „ნაბიჭვარი“ ვისთან მიმართებით გამოიყენა.

გვარამიამ კი უპასუხა, რომ ეს სისტემის მიმართ გამოიყენა, რომელმაც მას „უკანონო განაჩენი გამოუტანა“.

ამის შემდეგ მოსამართლემ გვარამიას ისევ ჰკითხა, გამოიყენა თუ არა ეს სიტყვები პირადად




მისი, როგორც მოსამართლის, მიმართ, რაზეც გვარამიამ უპასუხა:

— სიტყვები ნაძირლები და ნაბიჭვრები ეხებათ იმათ, ვინც აყალბებს ჩემს საქმეს. თუ თქვენ ამაში საკუთარ თავს ამოიკითხავთ, ეს თქვენი საქმეა.

გარდა ამისა, მოსამართლემ გვარამიას მის მიერ გამოქვეყნებულ ფეისბუქ პოსტსა და ფოტოზე ჰკითხა, არის თუ არა ეს გამოხატვის თავისუფლება.

— ეს არის ჩემი გამოხატვის თავისუფლება, ეს არის სიმართლე, ეს არის ჩემი დამოკიდებულება. როგორც პროცესი მიგყავთ, ეს არის დანაშაულებრივი. ეს არის შეფასება...

მე გამოვთქვი ეჭვი, რომ თქვენ ბრძანდებოდით არაფხიზელი, ოღონდ ამაში ალკოჰოლი არ მიგულისხმია, თქვენ იყავით სრულიად არაადეკვატური. ჩემი სიტყვა როცა იქნება სკაბრეზული, მაშინ მომთხოვეთ პასუხი, გინდათ როგორც მამაკაცმა და გინდათ როგორც მოსამართლემ, — უპასუხა გვარამიამ მოსამართლეს.

ამის შემდეგ გვარამიამ მოსამართლეს ჰკითხა, არის თუ არა სიტყვა „არაადეკვატური“ შერაცხმყოფელი.

მოსამართლემ უპასუხა, რომ არის და გვარამია სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობაში დაადანაშაულა.

საბოლოოდ მოსამართლემ გვარამია 500 ლარით დააჯარიმა.

— იმსახურებთ იმას, რომ აქვე დაგაკავოთ, მაგრამ მე არ მინდა ეს, რათა წამებულის მანტია ბოლომდე არ მოისხათ, — მიმართა მოსამართლემ ნიკა გვარამიას.

* * *

— ეს არ იყო კლოუნადა, ეს თვითაცილება იყო გარდაუვალი, იყო გადაწყვეტილი რამდენიმე დღის წინ კონკრეტულ კაბინეტში. ჯერ არ მინდა და არ არის ამაზე საუბარი საჭირო, მაინც დადგებოდა აცილების საკითხი.

ის საბუთები იუსტიციის საბჭოდან მაინც გამოთხოვილი გვაქვს, მაინც ჩვენი ინტერესის სფეროა, გამოვიყენებთ და მამუკა ხაზარაძესაც ასლებს გადავუგზავნით, ეს არის ჩემი კომენტარი. საბუთები, ვინ არის სპეციალიზაციით, რამდენი მოსამართლეა, ვინ იმყოფებოდა საქმის ელექტრონულად განაწილების პირობებში შვებულებაში და ა.შ. აი ამას ჩვენ გამოვითხოვთ. ელექტრონული განაწილება არის მკვდარი, მეგობრებო, — განაცხადა პროცესის შემდეგ ნიკა გვარამიამ.

ბრალდებულის კახა დამენიას ადვოკატი კახა წერეთელი მიიჩნევს, რომ მოსამართლის მიერ გამოცხადებული თვითაცილება სწორი გადაწყვეტილება იყო.

— მოსამართლის გადაწყვეტილება თვითაცილებაზე სუფთა ადამიანურადაც და სამართლებრივად მიმაჩნია, რომ არის სწორი, ვინაიდან სამომავლოდ გამორიცხული იყო შეკითხვები ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, — განაცხადა კახა წერეთელმა.

პროკურორ ზვიად გუბელიძის თქმით, მოსამართლის მხრიდან თვითაცილების გამოცხადების შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარე იმსჯელებს, თუ რომელი მოსამართლე განიხილავს ამ საქმეს.

— სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა დაცვის მხარე, კერძოდ, სამი ადვოკატი, რის გამოც ვერ მოვისმინეთ შესავალი სიტყვები. ამის შემდგომ, მოსამართლემ სასამართლოსა და მოსამართლის შეურაცხყოფისთვის დააჯარიმა ბრალდებული ნიკა გვარამია, რის შემდგომაც მან განაცხადა თვითაცილება.

ამის შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარე იმსჯელებს, თუ რომელი მოსამართლე განიხილავს ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეს, დაგვიკავშირდებიან, გაიწერება გრაფიკი და განვაგრძობთ მტკიცებულებების გამოკვლევას, — განაცხადა ზვიად გუბელიძემ.

# მოსამართლე ლევან დარბაიძემ მიხეილ დვალიშვილის საქმე აიცილა

10 იანვარს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ლევან დარბაიძემ, თვითაცილების შესახებ განცხადება გააკეთა.

ამ გადაწყვეტილების არგუმენტად დარბაიძემ ის ფაქტი დაასახელა, რომ 7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული არასრულწლოვანი დედის ბრალდების საქმის მოსამართლეც თავად იყო და გარდაცვლილი ბავშვის მამის ნათესავების მხრიდან მედიასთან არაერთი განცხადება გაკეთდა იმის თაობაზე, რომ მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენს, 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, არ ეთანხმებოდნენ და სასჯელის მეტისმეტად მცირე ზომად მიიჩნევდნენ.

— მიმაჩნია, რომ მიზანშეწონილია ჩემ მიერ მიხეილ დვალიშვილის ბრალდების საქმეზე თვითაცილება, ვინაიდან ეჭვქვეშ არ დადგეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, — განაცხადა მოსამართლე ლევან დარბაიძემ.




— უნდა ჩატარებულიყო წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც უნდა მომხდარიყო ბრალდების მხარის მიერ და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული და სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის განხილვა, თუმცა, მოცემულ საქმეზე მოსამართლის მიერ მოხდა თვითაცილების დაყენება, აიცილა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე და იგი გადაეცა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა მოსამართლეზე გასანაწილებლად, — განაცხადა პროკურორმა მიხეილ ბერიაშვილმა.

საქმის აცილების შესახებ მოსამართლის გადაწყვეტილებას მიესალმება დაცვის მხარე.

მიხეილ დვალიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 140-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც გულისხმობს წინასწარი შეცნობით, სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის ურთიერთობას 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიხეილ დვალიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე 22 ოქტომბერს იმსჯელა. მოსამართლე შალვა კაკაურიძემ დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დვალიშვილი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში, 2019 წლის 22 მაისს, 7 თვის ჩვილის მკვლელობის ბრალდებით 16 წლის დედა დააკავეს. დაკავებულ არასრულწლოვანს გორის რაიონულმა სასამართლომ პატიმრობის სახედ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

გამოძიება უმწეო მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 11 პრიმა 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ“ და “ვ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობდა.

# რუსთავში მამაკაცი საპირფარეშოში გარდაცვლილი ნახეს

რუსთავში ახალგაზრდა მამაკაცი კვების ერთ-ერთი ობიექტის საპირფარეშოში გარდაცვლილი ნახეს.




„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 35 წლამდე მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების ზედოზირება გახდა.

მამაკაცი ობიექტის თანამშრომელი არ ყოფილა და დაწესებულებაში ქუჩიდან, საპირფარეშოს გამოსაყენებლად შევიდა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა გარდაცვლილი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

— სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა შემოიყვანა ახალგაზრდა მამაკაცი. შემოყვანისთანავე დაფიქსირებული იყო გულის გაჩერება, სუნთქვა არ ჰქონდა. არ ვიცოდით, როდის დადგა ეს შედეგი და დაწყებულ იქნა რეანიმაცია მთელი მოცულობით. შედეგი სავალალოა, დაფიქსირდა ბიოლოგიური სიკვდილი, — განაცხადა ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორის მოადგილემ, დავით გოგოძემ.

ცხედარი, ექსპერტიზის ჩასატარებლად, რუსთავის პროზექტურაში გადაასვენეს.

# მამუკა მდინარაძე: „სამთავრობო ცვლილებები სადღაც ნიუსრუმშია მოგონილი“

— ეს ინფორმაცია არის მოგონილი და არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მე, უმრავლესობის ლიდერი, არც ერთ მსგავს ინფორმაციას არ ვფლობ.

ამის შესახებ უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებთან სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, ახლო მომავალში მსგავსი არაფერი იგეგმება და ამაზე საუბარი არ მიდის.

— მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, ეს არის მოგონილი სადღაც ნიუსრუმში, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს. რამდენად შეიძლება იყოს ეს ახლო პერსპექტივაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, ზოგადად, ყველაფერი მოსალოდნელია, არც ერთი თანამდებობა არ არის მუდმივი, მაგრამ დღეს ამის შესახებ საუბრები არ მიდის. არა თუ ინფორმაცია არ არის მართალი, არამედ მოგონილია, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.



იგივე თქვა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა.

— შემიძლია გითხრათ, რომ პრემიერ-მინისტრიც და ყველა მინისტრი აქტიურად მუშაობს ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების და გამოწვევების დასაძლევად. დარწმუნებული ვარ, ამას წარმატებით გავართმევთ თავს, — განაცხადა სესიაშვილმა.

ხელისუფლების ოპონენტები კი ამბობენ, რომ ივანიშვილის გუნდი კიდევ უფრო სუსტდება.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა, სერგო რატიანმა აღნიშნა, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ივანიშვილმა დაკარგა პრაქტიკულად ნახევარი გუნდი.

— ბოლო 6 თვის განმავლობაში ივანიშვილმა დაკარგა პრაქტიკულად ნახევარი გუნდი. ყველა პოლიტიკური ფიგურა, სპიკერი ვინც ჰყავდა, მას ეკარგება. მიზეზი არის ის, რომ ან მას უჭირს ამა თუ იმ ფიგურის შენარჩუნება და ის იძულებულია, გაწიროს ის ფიგურები, ან მას ტოვებენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ გარკვეული რეპუტაცია, — განაცხადა სერგო რატიანმა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ შესაძლოა თანამდებობა დატოვოს და მის ნაცვლად არჩილ თალაკვაძე დაინიშნოს.

# აქტივისტი შაკო კუჭაშვილი და ოთო კახიძე ერთმანეთს ხელით შეეხნენ

10 იანვარს დაპირისპირება იყო „ევროპული საქართველოს“ ოფისთან.



ნიუპოსტის ცნობით, „ოცნების“ მხარდამჭერები „ევროპული საქართველოს“ წევრის, ოთო კახიძისგან მოითხოვდნენ ბოდიშის მოხდას.

არსებული ინფორმაციით, ისინი აპროტესტებდნენ კახიძის განცხადებას, რომელიც მან ტროლებთან დაკავშირებით, რამდენიმე კვირის წინ გააკეთა.

„ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი და მოძრაობის „შეინარჩუნე სიცოცხლე“ წევრი, შაკო კუჭაშვილი ოთო კახიძეს ხელითაც კი შეეხო.

თავად შაკო კუჭაშვილმა ინციდენტი ფეისბუქში ასე აღწერა:

„სავარაუდოდ ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა ფსევდო იურისტმა ოთარ კახიძემ მითხრა, რომ მომივლიან და ჩემზე გამოიწია, ხელით შემეხო.

ოფისში შეიყვანა გოგონები, აღუკვეთა უკანონოდ თავისუფლება და არ უშვებდა გარეთ.

ახლა სიმშვიდეა, მოვიდა პოლიცია!“ — დაწერა მან.

მოგვიანებით სამართალდამცველებმა შაკო კუჭაშვილი გამოკითხვაზე გადაიყვანეს, საიდანაც მალე გამოუშვეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ხაჯიმბას დღეები დათვლილია, აფხაზური ოპოზიციის უკან ანქვაბი დგას“

## პაატა დავითაია: „აფხაზეთში რუსეთის საწინააღმდეგო სცენარი ხორციელდება, მაგრამ ის არ არის საქართველოს სასიკეთო“

ნონა ცაბაძე

სოხუმში მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **პაატა დავითაია** პასუხობს.

***– ბატონო პაატა, როგორია თქვენი შეფასებები აფხაზეთში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით? ჩვენ ექსპერტულ წრეებში კეთდება შეფასებები, რომ ამ ყველაფერში რუსეთის ხელი ურევია, სწორედ ის მართავს პროცესებს. თქვენ რას იტყვით?***

– ვინც ამას ლაპარაკობს, ახლოსაც არ არის იმ პრობლემებთან, რომლებიც არის აფხაზეთში. სამწუხაროდ, მთელი ეს პერიოდი ჩვენ ისე დავშორდით აფხაზეთს, იქაურ მოსახლეობას, რომ არ ვიცით, იქ რა პროცესები მიმდინარეობს.

***– რაშია პრობლემა?***

– რაც ხდება დღეს აფხაზეთში, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სცენარია, მაგრამ ეს სცენარი სულაც არ არის საქართველოს სასიკეთოდ.

***– ეგ რას ნიშნავს?***

– ცოტა უკან დავუბრუნდეთ ამ მოვლენების ისტორიას. პრეზიდენტობის კანდიდატი იყო რაულ ხაჯიმბა და მას დაუპირისპირეს კანდიდატად ასლან ბჟანია, რომელიც იყო მთელი ოპოზიციის კანდიდატი.

პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში არ იმართება სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, იმიტომ, რომ მათ სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ გააჩნიათ, აფხაზეთში პროცესები იმართება გვარების მხრიდან. გვაროვნული მმართველობაა აფხაზეთში, მოდით, ასე ვთქვათ. უხუცესთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას გვარების მიხედვით.

როდესაც ხაჯიმბამ გადაწყვიტა, მეორედ ეყარა კენჭი, უხუცესთა საბჭო წავიდა ამის წინააღმდეგი და თქვა, რომ ეს ადამიანი არ უნდა იყოს პრეზიდენტი. მთელი ოპოზიციის მეომრები, ვინც კი გაერთიანებულები არიან, ვინც საქართველოს წინააღმდეგ ღებულობდა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას, არის მეომართა კავშირის წევრი, რომლის უკან დგას ალექსანდრე ანქვაბი.

***– ჩვენთან მუსირებს აზრი, რომ ბჟანიას კრემლმა აგრძნობინა მხარდაჭერა. თქვენ არ იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– ეს არის აბსურდი! ამ პროცესების უკან დგას ალექსანდრე ანქვაბი. გახსოვთ, რომ ის ხაჯიმბას მიერ იქნა გადაყენებული და ზუსტად ანქვაბი რომ გადააყენეს, სწორედ ამ პროცესების უკან იდგა რუსეთი, ხაჯიმბას მეთაურობით.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ანქვაბი იყო პროაფხაზური პოლიტიკოსი და არა – პრორუსული პოლიტიკოსი. მან არ მისცა საშუალება აფხაზეთში მიწების გასხვისების. მან შეუქმნა კარგი პირობები ქართულ მოსახლეობას, რომელიც იქ ცხოვრობდა. მან გააკეთა ყველაფერი ისე, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სამხედრო ბაზები თავს თავისუფლად არ გრძნობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. სულ პრობლემებს უქმნიდა მათ. ამას მოჰყვა ანქვაბის ჩამოშორება სპეცსამსახურების ჩართვით და ამას ხელმძღვანელობდა ხაჯიმბა.

მთელი ლეიტმოტივი ანქვაბის წინააღმდეგ სარჩევნო კამპანიისა იყო ის, რომ ის ფარულად გარიგებულია საქართველოსთან.

***– იყო ამაში სიმართლის მარცვალი?***

– არა, ეს დიდი სისულელეა. ჩამოიშორეს ანქვაბი და როდესაც მოვიდა ხაჯიმბა, რუსულ ბაზებსა და სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომ არანაირი პასუხისმგებლობა დანაშაულთან დაკავშირებით რუსი ჯარისკაცების არ დგება. რუსეთის სამართალდამცავი სტრუქტურები უფრო მაღლა დგას, ვიდრე აფხაზეთის.

დაიწყო მიწების გასხვისება, დაიწყო კრიმინალური მმართველობა. ანქვაბის მმართველობის პერიოდში კანონიერი ქურდები არ იმყოფებოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ახლა კი ისევ დაბრუნდნენ. აქედან გამომდინარე, რუსეთმა დაიწყო სერიოზული პარპაში აფხაზეთში და დაუსჯელობის სინდრომი გაჩნდა ძალიან დიდი. აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოვიდა რუსული ბიზნესი, თანაც ძალიან დიდი დოზით. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, აფხაზებს ფული არა აქვთ. ამან ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ ოპოზიციამ გადაწყვიტა პროაფხაზური ძალების დაბრუნება.

***– ანუ ეს სრულიად ოპოზიციური პროცესია?***

– რა თქმა უნდა! ცხადია, ანქვაბი ველარ იქნებოდა პრეზიდენტი და აქედან გამომდინარე, მან შეარჩია ბჟანია, რომელიც მისი კანდიდატურაა. ეს ბჟანია კი აიღეს და მოწამლეს!

ამან ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამდენი ხნის განმავლობაში ეს კაცი მკურნალობდა და იმ ოპოზიციურმა კანდიდატმა, კვიცინიამ, რომელმაც ბჟანია ჩაანაცვლა, მან არჩევნები მოიგო, მაგრამ აფხაზეთის სპეცსამსახურების სერიოზული ჩარევა მოხდა, პუტინის პირადი ჩარევა მოხდა, უკვე მეორეჯერ ხაჯიმბასთან დაკავშირებით. გაამარჯვებინეს ხაჯიმბას და ამან გამოიწვია დიდი გაღიზიანება აფხაზი მოსახლეობის.

როდესაც ბჟანია დაბრუნდა, სიტუაცია კიდევ უფრო მეტად დამძიმდა, სასამართლოში ხდებოდა ამ საკითხის განხილვა, მაგრამ სასამართლომ საკითხის დაუშვებლობა ცნო და ამის უკან ისევ რუსეთი იდგა და, აი, ეს იყო ბოლო წვეთი და ამან გამოიყვანა ხალხი ქუჩაში.

***– დათვლილია ხაჯიმბას დღეები თუ ისევ გაუმყარებს რუსეთი ზურგს?***

– ხაჯიმბას დღეები არის დათვლილი! ამას პირდაპირ გეუბნებით. ყველა განუდგა, პარლამენტიც და ხალხიც, ხაჯიმბა იარაღს ვერ გამოიყენებს ერთი კონკრეტული მიზეზის გამო, რომ მთელი ამ პროცესის უკან დგანან ე.წ. ომის გმირები აფხაზეთსა და საქართველოს შორის, ამიტომ მათ წინააღმდეგ იარაღს ვერავინ აიღებს.

თუ რუსებმა აიღეს იარაღი, ამას მოჰყვება ძალიან მკვეთრი რეაქცია, ძალიან მკვეთრი! აქ მთელი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სად ვართ, ჩვენ?!

***– ჩვენ მართლა სადა ვართ, ბატონო პაატა და თუ გვაქვს მცირედი შანსი, ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ ეს პროცესები?***

– რა თქმა უნდა, გვაქვს! თანაც სერიოზული, მაგრამ ეს ჩვენთან არ უნდათ, არ აინტერესებთ. დღეს ჩვენი შეხების საერთო წერტილი იცით, რა არის?!

***– რა?***

– აფხაზებს აღარ უნდათ რუსეთი, არც ჩვენ გვინდა რუსეთი და სწორედ ეს არის ჩვენი



შეხების წერტილები. აწი რა იქნება, ეგ სხვა თემაა, ეგ სახელმწიფოს სამუშაო თემაა. სამწუხაროდ, სახელმწიფო ამ მიმართულებით არ მუშაობს და არანაირი სტრატეგია არ გააჩნია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

ეს ერთდღიანი სამუშაო ხომ არაა, ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება. დღეს რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება, დაიცვას ხაჯინბა, მაგრამ ეს არ გამოუვა, ამის შანსი არაა.

უახლოეს პერიოდში დაინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები და არ ვიცი, როგორ ჩამოყალიბდებიან, ბჟანია იქნება კანდიდატი თუ კვიცინია. ჩემი აზრით, ორივე იქნება, ერთი პრეზიდენტობის და მეორე – ვიცე-პრეზიდენტობის. აქედან გამომდინარე, ესენი მოიგებენ ამ არჩევნებს.

ეს კანდიდატები პრორუსულები არ არიან, პროაფხაზები არიან და, სამწუხაროდ, მათ მართლა სჯერათ, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი.

მათი გამარჯვების შემთხვევაში, რუსეთს გაურთულდება მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისეთი თავისუფლება აღარ ექნება, როგორც ეს ხაჯიმბას პერიოდში ჰქონდა.

მერე დანარჩენი ჩვენს და მათ მარიფათზეა დამოკიდებული. რაღაცა მარცვლის ჩაგდების შანსი ჩნდება ჩვენს ურთიერთობებში. რა თქმა უნდა, თუ სწორად ვიმოქმედებთ, რაც, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას არ ეტყობა.

# ვახტანგ მაისაია: „მსოფლიო წკიპზე დგას“

## თალიბებიც და ირანიც ისლამურ სახალიფოს ებრძვიან

გულიკო ბალაძე



რა შემთხვევაში და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო ამერიკა-ირანს შორის დაპირისპირებაში ჩაბმული? – „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ესაუბრა.

***– ბატონო ვახტანგ, ბოლო დროს მთელი მსოფლიო შფოთავდა ირანისა და ამერიკის პირდაპირი სამხედრო დაჯახების გამო. ეს დაპირისპირება, ფაქტობრივად, ხომ ირანმა დაიწყო?***

– ყველაფერი დაიწყო პროირანული დაჯგუფების მხრიდან ამერიკულ სამხედრო კონტინგენტზე (რომლის რაოდენობა 5 ათას კაცს შეადგენს) თავდასხმით, რომელსაც შეეწირა ამერიკის ერთი მოქალაქე. ორი კი დაიჭრა. ამერიკულ სამხედრო ბაზას სერიოზული ზარალი მიაყენეს. ამ თავდასხმის გამო კოალიციური ძალებისა და ამერიკელების მხრიდან საპასუხო საჰაერო დაბომბვები განხორციელდა.

შედეგად 50 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 200 დაიჭრა ძირითადად იმ ტერიტორიაზე, სადაც აღნიშნული დაჯგუფების ბაზირება იყო. ერაყის მოსახლეობამ გააპროტესტა, ამერიკის საელჩოს დაესხნენ თავს და ცეცხლი წაუკიდეს. ამერიკამ განახორციელა საელჩოს თანამშრომლების სრული ევაკუაცია.

ამ თავდასხმას მხარს უბამდა პროირანული „კატაიბ ჰესბოლა“, რომელიც გასამხედროებული შიიტური დაჯგუფებაა, ირანის სპეცსამსახურები უწევენ ფინანსურ მხარდაჭერას და ერაყში ირანული გავლენის ინსტიტუტებს წარმოადგენენ.

ამავე დროს, ბაღდადში ჩაფრინდა ირანის ისლამური რევოლუციური გუშაგთა კორპუსის სპეცსამსახურის „ალყუჩის“ მეთაური („ალყუჩი“ არის ახალი იერუსალიმი), გენერალ-ლეიტენანტი ყასემ სულეიმანი, რომლის სახელი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 2014 წელს სირიაში დაწყებული „არაბული გაზაფხულის“ პერიოდში.

ყასემ სულეიმანი იყო მთავარი ირანული პოლიტიკის გამტარებელი სირიის ტერიტორიაზე. მან პუტინიც კი დაარწმუნა და უბიძგა, რუსეთი ჩართულიყო სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმის მხარდასაჭერად. მას საკმაოდ დიდი გავლენები ჰქონდა არა მარტო ოფიციალურ თეირანზე. იერარქიაში მაინცდამაინც მაღალი თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ ირანის პოლიტიკის რუხი კარდინალი, სასულიერო ლიდერის, ალი ჰამეინის უახლოესი მეგობარი და უახლოესი მრჩეველი იყო.

ფაქტობრივად, ყასემ სულეიმანი წარმოადგენდა მესამე ადამიანს არაფორმალური გავლენების კუთხით. მას ჰქონდა ძალიან ძლიერი პოზიციები და ირანული ჰიბრიდული ომის სტრატეგიის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახლდათ. მისი საშუალებით ირანმა ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურეში, მაღრიბის მიმართულებით, კავკასიის რეგიონში, ცენტრალურ აზიასა და ავღანეთ-პაკისტანში რეგიონული ჰეგემონის სტატუსის დამკვიდრება შეძლო. ამდენად, ის ძალიან სერიოზული ფიგურა იყო.

ამიტომ განხორციელდა მისი მკვლელობა, რომელსაც შეეწირა იმ დაჯგუფების ლიდერი, რომელმაც მოახდინა პირველი თავდასხმა ამერიკულ ბაზაზე. ისინი ერთმანეთს ბაღდადის აეროპორტში შეხვდნენ.

როგორც კი მოხდა თავდასხმა, ერაყის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ ალ მახტიმ ერაყის პარლამენტში განაცხადა, თითქოს გენერალი სულეიმანი ბაღდადში ჩასული იყო საუდის არაბეთის წარმომადგენლებთან საიდუმლო მოლაპარაკებებისთვის, რათა რაღაცნაირად მოგვარებულიყო ურთიერთობა საუდის არაბეთსა და ირანს შორის.

გავლენიანი სამხედრო პირის ყასემ სულეიმანის ლიკვიდაციის შემდეგ, რომლის საქმიანობა ძირითადად უკავშირდებოდა ირანის ჰეგემონურ, დაზვერვის პოზიციებს, მახტიმ პირდაპირ მოითხოვა ამერიკელი ბაზების დახურვა და ერაყის ტერიტორიიდან შენაერთების გაყვანა. მას ერაყის პარლამენტი ერთხმად დაეთანხმა და ერაყის მთავრობამ, ფაქტობრივად, დაიწყო ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია.

***– ისე, ირანი და ყასემ სულეიმანი პირდაპირ შეხებიან ამერიკის ინტერესებს საუდის არაბეთში.***

– ირანსა და საუდის არაბეთს შორის მტრული დამოკიდებულებაა. მათ შორის არსებობს ფარული ომი. განსაკუთრებით ფარული ომი კარგად ჩანს იემენის ტერიტორიაზე. იემენში არიან აჯანყებული ხუსიტები. ალ ისლამი ებრძვის პროსაუდის არაბეთის რეჟიმს იემენში და საუდის არაბეთს უწევს სერიოზულ წინააღმდეგობას. მათ შორის მიმდინარეობს საკმაოდ სერიოზული რეგიონული ომი.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# „ოპოზიცია „ოცნებას“ ყველანაირ არჩევნებს მოუგებს“

## მურმან დუმბაძე: „ხელისუფლებიდან უნდა გავუშვათ არა გახარია, არამედ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში შესაძლო სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო მურმან, შეიძლება, გახარიამ პოსტი დატოვოს?***

– ხელისუფლების შიდა კულუარები მოსახლეობისთვის ნაკლებად არის საინტერესო. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი პროპორციულ არჩევნებზე გადასვლაა.

***– ოპოზიცია ხომ ითხოვდა გახარიას გადადგომას?***

– გახარია თუ წავა, ეს არ იქნება ოპოზიციის მოთხოვნაზე პასუხი. ჩვენ ვითხოვდით გახარიას მოხსნას შინაგან საქმეთა მინისტრობიდან, მაგრამ საზოგადოებამ მისი დაწინაურება მიიღო. 2019 წელს ვითხოვდით გახარიას წასვლას. ახლა 2020 წელია. ხელისუფლებიდან უნდა გავუშვათ არა გახარია, არამედ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“. ეს გაერთიანებული ოპოზიციის უპირველესი ამოცანაა.

***– ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელს შეხვდა პრემიერი გახარია. ამბობენ, რომ გარკვეული სიგნალები მიიღო. ამ დახურულ შეხვედრაზე რა შეიძლებოდა, განხილვის საგანი ყოფილიყო?***

– ასეთი საერთაშორისო ზეწოლა არ მახსენდება არც ერთ ხელისუფლებაზე. გახსოვთ, თბილისში შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ბეიკერი რომ ჩამოვიდა?! ბეიკერი მართლა საარჩევნო ბარიერის განსასაზღვრად კი არ ჩამოვიდა, შევარდნაძეს დელიკატურად მიანიშნა, უთხრა კიდეც, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ორ ვადაზე მეტხანს მთავრობა არ მართავს ქვეყანას. რვა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, რომ ძალაუფლების ხიბლში არ ჩავარდეს.

ახლა დასავლეთი სწორედ ამას ეუბნება ბიძინა ივანიშვილს, სხვას კი არაფერს! ბიძინა ივანიშვილი უნდა მიხვდეს, რომ მისი დრო ამოიწურა, რვაწლიანი ციკლი დასრულდა. ამას ეუბნებიან დიპლომატიურად, მაგრამ სრულიად გასაგები ენით.

რატომ უნდა დარჩეს ეს მთავრობა, რა მიღწევები გვაქვს, რამე შთამბეჭდავი მოხდა და ჩვენ გამოგვეპარა?! ეკონომიკა დადგა ფეხზე, ლარის კურსი გამყარდა, სოციალური პრობლემები მოგვარდა თუ რა მოხდა?!



***– თუ ივანიშვილმა თქვა, იმიტომაც ვცვლი მთავრობას, რომ მეც არ მომწონს მისი მუშაობაო?***

– ახლა ამას ვერ გვეტყვის ივანიშვილი, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც გვითხრას, როგორც, მაგალითად, კვირიკაშვილი ვითომ ბავშვთა შიმშილობის გამო რომ მოხსნა. ჩვენ, ოპოზიცია, 7-8 თვის წინ ვეუბნებოდით, რომ გახარია არ უნდა დაენიშნა. ახლა ივანიშვილს გახარიასთან და მთელ მთავრობასთან ერთად მოუწევს სახლში წასვლა.

***– როგორ?***

– გაერთიანებული ოპოზიცია, ნებისმიერ შემთხვევაში, შერეული სისტემით, პროპორციული სისტემით, ვადამდელი თუ ვადიანი არჩევნებით გაისტუმრებს „ქართულ ოცნებას“ სახლში. ოპოზიცია აუცილებლად მოიგებს არჩევნებს.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– ასეთი გაერთიანებული, კოორდინირებული და შეთანხმებული ოპოზიცია მე არ მახსენდება. ძალიან დიდი პოლიტიკური გამოცდილება მაქვს, ძალიან ბევრ არჩევნებში მაქვს მონაწილეობა მიღებული და ვიცი, რას ნიშნავს, როდესაც ერთმანეთისთვის მიუღებელი პოლიტიკოსები გვერდიგვერდ სხდებიან მხოლოდ ერთი მიზნით, რომ არჩევნებში დაამარცხონ ხელისუფლება.

ძალიან რთულად წარმომედგინა, რომ ნინი ბურჯანაძე და გიგა ბოკერია ოდესმე გვერდიგვერდ დასხდებოდნენ ერთ მაგიდასთან. ეს მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა. ამიტომ, მე მჯერა იმის, რასაც ვამბობ – ოპოზიცია ყველანაირ პირობებში მოუგებს არჩევნებს „ქართულ ოცნებას“.

# თინა ბოკუჩავა: „ივანიშვილი ეცდება, მთელი ნეგატივი გახარიას გააყოლოს“

## „მთავარი მიზანი ივანიშვილის მოშორებაა, მან დასავლეთთან ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა“

იაგო ნაცვლიშვილი



4 თებერვალს პარლამენტი მუშაობას საგაზაფხულო სესიით განაახლებს, ოპოზიცია კი მასშტაბური აქციისთვის ემზადება. განიხილავენ პარლამენტის პიკეტირებასაც. კონკრეტულად რა გეგმები აქვს ოპოზიციას ამ საკითხზე და როგორ აფასებენ პრემიერის პოსტიდან გიორგი გახარიას შესაძლო გადაყენების საკითხს? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **თინა ბოკუჩავა**.

***– რა გეგმები დასახეთ 9 იანვრის შეხვედრაზე ოპოზიციამ და ხომ არ გაქვთ მომზადებული სიურპრიზები ხელისუფლებისთვის?***

– 4 თებერვალს არის პარლამენტში საგაზაფხულო სესიის გახსნა, რომელიც აუცილებლად ჩაივლის პროტესტის ფონზე. რა ტიპის აქცია იქნება, ამ დეტალებზე ჯერ არ შევთანხმებულვართ. პიკეტირება იქნება, პერფორმანსი თუ სხვა ტიპის აქცია. ამ პროტესტის მთავარი მიზანია, რომ ბიძინა ივანიშვილმა გაიგოს ხალხის ხმა ამ ფორმით. იმიტომ, რომ ის საკუთარი მეხოტბეების იზოლაციაში ექცევა. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ გაიგოს ის თუ რას ფიქრობს მოსახლეობა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დაკვეთა საქართველოს პარლამენტის მიმართ არის საარჩევნო სისტემის შეცვლა. ამას ელოდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა 20 ივნისის სისხლიანი ღამის შემდეგ და ეს დაპირება თავად ივანიშვილისგან მიიღო.

ამ იმედგაცრუებისა და ტყუილის შემდეგ ჩვენ გვქონდა იმის მოლოდინი, რომ, მაგალითად, საბუღალტრო წესების შეცვლაზე იმსჯელებდნენ, ხელისუფლებას ყოველგვარი ლეგიტიმაცია დაკარგული აქვს. ერთადერთ ბუღალტერიას, რომელსაც წარმატებით ახორციელებენ, ეს საკუთარი ჯიბის ბუღალტერიაა. ეს აბსოლუტურად მიუღებელია და ამიტომ გამოვხატავთ ჩვენ პროტესტს, სავარაუდოდ, პიკეტირების ფორმით. თუმცა, შეიძლება იყოს სხვა ტიპის პროტესტი.

რაც შეეხება სხვა აქტივობას, განვიხილეთ რეგიონალური აქციები. შესაძლებელია ეს იყოს დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოში. თუმცა, ამ ეტაპზე მხოლოდ განხილვის თემა იყო და კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიგვიღია, ნამდვილად იქნება თუ არა რეგიონებში და ხომ არ იქნება ისევ ეპიცენტრი თბილისში. ამ დეტალებზე გადაწყვეტილებები მიღებული ჯერ არ არის.

ასევე ვიმსჯელეთ მოლაპარაკებებზე, რომელსაც ოპოზიცია ხელისუფლებასთან აწარმოებს საერთაშორისო თანამეგობრობის მედიაციით. მეხუთე რაუნდი იგეგმება იანვარში და ჩვენი პოზიციები კიდევ ერთხელ შევაჯერეთ. ივანიშვილი სხვადასხვა ვარიანტების შემოთავაზებით ცდილობს, რომ დაანაწევროს ჩვენი პოზიციები და განხეთქილება შეიტანოს იმ ერთობაში, რაც აქამდე არსებობდა და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც იარსებებს. აბსოლუტურად ყველას გვესმის, რომ დღეს ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია, იმ უპირველეს მიზანთან შედარებით, რაც არის ივანიშვილის მოშორება.

***– რეგიონულ აქციებს 4 თებერვლამდე პერიოდში განიხილავთ თუ შემდეგ?***

– ვიმეორებ, რომ ამაზე მტკიცებით ფორმაში ვერ ვისაუბრებ. იმიტომ, რომ განხილვის რეჟიმში ვარ. ეს იქნება ან იანვარში, ან თებერვალში. დაზუსტებული ჯერ არ გვაქვს, ამიტომ, სამწუხაროდ, მეტი კონკრეტიკა ამ ეტაპზე არ შემიძლია.

***– ბუნებრივია, დასავლეთთან გააგრძელებთ კომუნიკაციას და გექნებათ კონსულტაციები, მაგრამ რა პასუხი გაქვთ მოსაზრებებზე, რომ აშშ-ირანის კონფლიქტის გამო დასავლეთი სხვა თემებზეა კონცენტრირებული და საქართველოზე ფოკუსირებას იმდენად აქტიურად აღარ მოახდენს?***

– საქართველო არის აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი და არის აღმოსავლეთის პარტნიორობის ერთ-ერთი ქვეყანა და ამ თვალსაზრისით მას აქვს ევროკავშირთანაც ძალიან მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩარჩო. ამიტომ, რა ტექნიკური ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს მსოფლიო პოლიტიკაში, საქართველო დარჩება ამერიკისა და ევროპის პარტნიორ ქვეყნად. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებამ საქართველოს იმდენად შეულახა საერთაშორისო რეპუტაცია, რომ ამ მთავრობაში ველარ ხედავს სანდო პარტნიორს. ხაზს ვუსვამ მთავრობაში და არა ქვეყანაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი ცნება – მთავრობა და ქვეყანა – მკვეთრად გავმიჯნოთ.

საქართველოს ხელისუფლებამ გადაკვეთა ყველა წითელი ხაზი, რომელიც დასავლეთმა ივანიშვილს დაუწესა. მათ შორის, პროპორციულ არჩევნებთან დაკავშირებითაც.

***– ერთ-ერთი წითელი ხაზის გადაკვეთა ხომ არ იყო ბოლო გადაწყვეტილება, როცა ანაკლიის კონსორციუმთან ხელშეკრულება გაწყვიტეს?***

– რა თქმა უნდა. აბსოლუტურად ვიზიარებ თქვენ ამ შეფასებას. გზავნილებიც რომ ამოვიღოთ, ზუსტად ამაზე მეტყველებს. გავიხსენებ მაიკ პომპეოს განცხადებას, რომელზე მაღალი რანგის პოლიტიკოსი საგარეო მიმართულებით აშშ-ს არ ჰყავს, ის არის ქვეყნის მთავარი დიპლომატი, რომელმაც საკმაოდ არადიპლომატიურად, მე ვიტყოდი, რომ ხისტ ენაზეც კი უთხრა სათქმელი იმ დროინდელ პრემიერს, რომელიც შემდეგ ივანიშვილმა გამოცვალა და მე მგონი, ამასაც ცვლის.

***– როგორ გგონიათ, რატომ ცვლის და რამდენად რეალური გგონიათ ხმები, რომელიც გამოვიდა?***

– მე ძალიან არ მიყვარს ყვითელი პრესის კომპეტენციაში შესვლა, ამიტომ ვერ დავადასტურებ ფაქტებს, რომელზე საუბარიც ახლა მიდის კულუარებში. მათ შორის ივანიშვილის კულუარებში იმიტომ, რომ ბუნებრივია, გადაწყვეტილებას ის იღებს. თუმცა, ერთი რამე შემიძლია ვთქვა პოლიტიკურ ასპექტში – მე სხვა გარემოებიდან დამოუკიდებლადაც ველოდი, რომ ივანიშვილი გახარიას გამოცვლიდა, რომლის მიმართაც არსებობდა ძალიან დიდი ზიზღი საზოგადოებაში და რომელიც იყო 20 ივნისის სისხლიანი ღამის მთავარი შემოქმედი და ამით ეცდებოდა, რომ ეს უდიდესი ზიზღი მისთვის გაეტანებინა პოსტიდან გადაყენების შემდეგ. ველოდი, რომ ის დანიშნავდა ნეიტრალურ, კვირიკაშვილისეულ ფიგურას. განიხილება, მაგალითად, მაია ცქიტიშვილი თუ სხვები.

***– ასე გგონიათ, რომ მაია ცქიტიშვილი ნეიტრალური ფიგურაა?***

– მან ამ ბოლო დროს საკუთარი პოზიციებით მართლაც შეილახა საჯარო იმიჯი, თუმცა მაინც ახლოს ვერ მივა იმ ზიზღთან, რასაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი განიცდის გახარიას მიმართ, როგორც 20 ივნისის სისხლიანი ღამის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედთან.

***– თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ გახარია არის პოლიტიკური ფიგურა, მაია ცქიტიშვილისა და სხვებისგან განსხვავებით.***

– ასევე განიხილება თალაკვაძის კანდიდატურა და ასევე ჩხენკელისაც, რომლებიც დამეთანხმებით, რომ გახარიასთან შედარებით ნეიტრალური ფიგურები არიან.

***– ჩხენკელი, რომელმაც ივანიშვილი ექვთიმე თაყაიშვილს შეადარა...***

– რა თქმა უნდა, და ის გამოირჩევა მეხოტბეობით. ივანიშვილის მთავარი კრიტერიუმი პრემიერის თუ სხვა თანამდებობის პირის დანიშვნისას, რა თქმა უნდა, ასე უყურებს საკითხებს. მას ერთგულების მტკიცების ტვირთი ასე წარმოუდგენია, რომ ასეთ პირს მის მიმართ უნდა ჰქონდეს მონური მორჩილება. მაპატიეთ, მაგრამ მე ამას ერთგულებას ვერ დავარქმევ, რადგან ერთგულება მათ შორის კრიტიკული აზრის გაზიარებასაც ითვალისწინებს, ვინც არ უნდა იყოს ეს. რასაც ვუყურებთ, ეს მონური მორჩილებაა. ხოლო ეს მონური მორჩილება ყველაზე ღიად ბოლო დროს გამოამჟღავნა პოსტზე მობრუნებულმა ჩხენკელმა, როდესაც ერთ-ერთ საამაყო ქართველს ექვთიმე თაყაიშვილს შეადარა ბიძინა ივანიშვილი. ივანიშვილი კი თავმომწონედ ირგებდა ამ ხოტბას თავისი ჟესტიკულაციით.

ამ ფიგურებს რეალურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი აქ არის ის, რომ შემდეგი პრემიერის გაშვება მოუწევს არა ივანიშვილს, არამედ ქართველ ხალხს. ეს მოხდება შემდეგ არჩევნებზე. სამწუხაროდ, ეს რამდენიმე თვე საქართველოსთვის იქნება უძრაობის პერიოდი, როდესაც ის ვერანაირ როლს ვერ ითამაშებს რეგიონულ და მსოფლიო პოლიტიკაში. სამწუხაროა, როდესაც ხელისუფლებაში გყავს გუნდი, რომელსაც არც კომპეტენცია და არც უფლებამოსილება არ გააჩნია პუტინის ტყვეობიდან გამომდინარე. თუნდაც იმიტომ, რომ საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს თავისი სტრატეგიული როლი ამერიკისთვის იმ ცვლილებების ფონზე, რაც ახლა მიმდინარეობს.

***– იმ ფონზე, როდესაც ივანიშვილი დათმობაზე არ მოდის, პარალელურად არჩევნებისთვის არ ემზადებით, რომ ამ სისტემით ჩატარების შემთხვევაში მაინც დაამარცხოთ ივანიშვილი?***

– ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა იქიდან გამომდინარე, რომ ივანიშვილს არა მხოლოდ დასავლეთის თვალში, არამედ საკუთარი მოსახლეობის თვალშიც დაკარგული აქვს ნდობა. შესაბამისად, მან რაღაც დაპირება რომ დადოს საარჩევნო ცვლილებებზე, მაინც არავინ იცის, მას განახორციელებს თუ არა.

თუმცა, გულწრფელად გეტყვით, რომ ნაადრევია იმაზე საუბარი, თითქოს არსებული სისტემით მოგვიწევს მასთან შერკინება. იქიდან გამომდინარე, რომ ახლა მოლაპარაკებების ეტაპზეა ოპოზიცია ხელისუფლებასთან. მათ შორის სწორი არ იქნება დასავლელ პარტნიორებთან, რომელთაც გარკვეული ინვესტიცია აქვთ ჩადებული ამ მოლაპარაკებებში მათი მედიატორის როლიდან გამომდინარე.

დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ რა სისტემაც არ უნდა იყოს, ივანიშვილი იმდენად დისკრედიტირებულია, რომ არც ერთ სისტემაში არ აქვს უმრავლესობის მოპოვების რესურსი, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანაა, რომ ვაიძულოთ, შეასრულოს ის, რასაც დაჰპირდა საქართველოს მოსახლეობას და რაც ქართველმა ხალხმა სისხლის ფასად მოიპოვა, მათ შორის იმ ახალგაზრდებმა, რომლებიც თვეობით იდგნენ რუსთაველზე. ეს იყო პროპორციული არჩევნები. ეს არის უმარტივესი მოთხოვნა და ეს არის ის, რომ ადამიანების არჩევანი პირდაპირპროპორციულად აისახოს პარლამენტში. ჩემი არჩევანი, რომელსაც ამომრჩეველი გავაკეთებ, ობიექტურად აისახოს პარლამენტში და არ იყოს ის სისტემა, რომელიც ახლაა, როცა 2016 წელს „ქართულმა ოცნებამ“ აიღო 50%-ზე ნაკლები და მაჟორიტარების ხარჯზე მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა და დაიწყო პარლამენტის კონტროლი.

ეს არის მარტივი ფაბულა, რაც ლეგიტიმურად დადგა. ჩვენი ამოცანაა, რომ დავიცვათ ეს მოთხოვნა და მივიღოთ ან სრულად პროპორციული სისტემა, ან ე. წ. გერმანული მოდელის ქართული ანალოგი, რომელიც ეკვივალენტია პროპორციული სისტემის და უტოლდება იმ შედეგს, რასაც მივიღებდით პროპორციულით. შემდეგ, თუ ივანიშვილი ჩვენ დასავლელ პარტნიორებს კიდევ ერთხელ მოატყუებს და მაპატიეთ ჟარგონისთვის და კიდევ ერთხელ „გადააგდებს“, მაშინ ჩვენ მოგვიწევს ბრძოლა არსებულ მოცემულობაში, რომელშიც მაინც გაიმარჯვებს ოპოზიცია. არა რომელიმე პარტია, არამედ მთლიანად ოპოზიცია. ეს ხაზები უკვე გადაიკვეთა და ყველას გვესმის, რომ მთავარია ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორება.

# ოკუპირებული აფხაზეთი: მეორდება თუ არა 2014 წლის გადატრიალება?

## საპროტესტო ჯგუფებს დონეცკის გმირი ახრა ავიძბაც აგროვებს

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობის“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ 9 იანვარს ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ხალხი შეიჭრა. საზოგადოებამ, პოლიტიკოსებმა, დეპუტატებმა და მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა დეფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას გადადგომისკენ მოუწოდეს.

იანვრის დასაწყისში ამგვარი რადიკალიზაცია მოულოდნელი აღმოჩნდა. მეორე მხრივ, კრიზისი აფხაზეთში დიდი ხანია მწიფდებოდა.

ოპოზიციონერი ლიდერის, დეპუტატ ასლან ბჟანიას მოწამვლის შემდეგ მდგომარეობა გაამწვავა დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებმა. ოპოზიცია ამ არჩევნების მეორე ტურის შედეგებს სექტემბრიდან აპროტესტებს და სასამართლოში ასაჩივრებს. ოპოზიციური კანდიდატის და მისი თანამოაზრეების მოთხოვნაა, უკანონოდ და ბათილად გამოცხადდეს ცესკოს მიერ გამოცხადებული შედეგი. მათი თქმით, დასანიშნია ახალი არჩევნები.

9 იანვარს სასამართლოს საკასაციო ინსტანციის მეორე სხდომა გაიმართა. სხდომაზე დაკმაყოფილდა შუამდგომლობა მოსამართლის აცილებაზე, რომელსაც უფლებამოსილების ვადა ამოეწურა.

ხაჯიმბას ადმინისტრაციაში შეჭრამდე 4 დღით ადრე ადგილობრივმა ანალიტიკოსებმა ივარაუდეს ანარქია და განაცხადეს, რომ 2019 წელი იყო უკანონობის მანიფესტაცია.

კიდევ ერთი ვადით გაპრეზიდენტებული რაულ ხაჯიმბა დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. მას საკადრო გადაადგილებებმა ვერ უშველა. ამ საკადრო ცვლილებებს გადაჰყვა გალის სკანდალური გამგებელი თემურ ნადარაია. ყოველი საჯარო გამოსვლისას ხაჯიმბა საუბრობდა ერთიანობის აუცილებლობაზე. თუმცა, ამით საზოგადოება უფრო გაიხლიჩა.

8 იანვარს ცეცხლზე ნავთი დაასხა აფხაზეთის პროკურატურამ. მან ოფიციალურად კიდევ ერთხელ გამოაცხადა, რომ წინასაგამოძიებო შესწავლამ ოპოზიციონერ ასლან ბჟანიას მოწამვლა არ დაადასტურა. პროკურატურა აცხადებს, რომ გამოკითხვაზე დაბარებული პირები არ გამოცხადდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მოწამვლის დამადასტურებელი არგუმენტები არ გააჩნიათ.

ხაჯიმბას მმართველობით უკმაყოფილო საზოგადოება მასობრივად ქუჩაში დეკემბრის ბოლოსაც გამოვიდა. ხალხმა ძალოვნების გადაყენება მოითხოვა და ამას მიაღწია კიდეც. კრიმინალის თარეში აფხაზეთში არავის უკვირს. თუმცა, ნოემბერში, დღისით, სოხუმის სანაპიროზე, რესტორან სან რემოში მომხდარი მკვლელობა და მისი გაუხსნელობა მრავლისმნახველმა სოხუმელებმაც ვერ აიტანეს. ამ შემთხვევის დროს მოკლეს კანონიერი ქურდები ასტამურ შამბა და ალხას ავიძბა და დაჭრეს რამდენიმე პირი. თავდასხმას ემსხვერპლა რესტორნის თანამშრომელი ქალი, რომელიც მოგვიანებით გარდაიცვალა.

ხაჯიმბას ხელისუფლების კრიმინალიზაციაზე აფხაზეთში ბევრი ლაპარაკობს. იმასაც ამბობენ, რომ ასტამურ შამბა და ალხას ავიძბა პირადად დეფაქტო პრეზიდენტმა მოაკვლევინა. ამ საქმეზე ერთ-ერთი დაკავებული ხაჯიმბას დაცვის წევრია.

9 იანვარს მომხდარი ხაჯიმბას ადმინისტრაციამ „სახელმწიფო გადატრიალების“ მცდელობად შეაფასა.

მან გადადგომაზე უარი თქვა.

ხაჯიმბას გადადგომის აუცილებლობას რესპუბლიკის პარლამენტიც აცნობიერებს. მან მიიღო დადგენილება, რომლითაც შემდგომი დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტს წასვლისკენ მოუწოდა. დეპუტატები ხაჯიმბას შეხვდნენ კიდეც, მაგრამ ამაოდ.

პარლამენტის ამ სხდომას ესწრებოდა რამდენიმე თვის წინ მოწამლული ასლან ბჟანიაც.

დესტაბილიზაციაში ხაჯიმბამ პარლამენტი და ოპოზიცია დაადანაშაულა. მისი თქმით, პარლამენტის დადგენილებამ მდგომარეობა უფრო გაამწვავა. მანვე ოპოზიცია უპირობაში ამხილა. ხაჯიმბა მიიჩნევს, რომ ოპოზიციამ არ დაუცადა სასამართლოს გადაწყვეტილებებს და გადავიდა რადიკალურ მეთოდებზე.

თავდაცვის მინისტრი მირაბ ქიშმარია გამორიცხავს აფხაზური ჯარის ჩართვას პროტესტანტების წინააღმდეგ.

აფხაზეთში არ გამორიცხავენ, რომ ხაჯიმბამ დასახმარებლად რუსეთის სამხედროებს ან სამართალდამცავებს მიმართოს. ყველა აღიარებს, რომ ეს მას არ შერჩება.

რუსეთის პირველი ე.წ. ელჩი აფხაზეთში სემიონ გრიგორიევი რუს ექსპერტებსაც მოუწოდებს, ნუ ჩაერევიან აფხაზეთის საქმეებში.

– ზოგიერთი რუსი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ აფხაზებს რუსი გენერალ-გუბერნატორი გადაარჩენს, ზოგი შექმნილ მდგომარეობას აბრალებს რუსეთის არასამთავრობო ორგანიზაციების არარსებობას. აფხაზმცოდნეებო, დაიოკეთ ვნებები. დააცადეთ, რომ აფხაზებმა თვითონ გაარკვიონ ურთიერთობები, – აღნიშნა გრიგორიევმა.

აფხაზეთის მოქალაქეების აზრით, დღევანდელი მდგომარეობა 2014 წლისას იმით ჰგავს,



რომ ხაჯიმბა, ანქვაბის მსგავსად, არ გამოდის ხალხთან დასალაპარაკებლად.

– იმედი მაქვს, რომ ჩვენ 2014 წელს არ გავიმეორებთ, – ამბობს ოპოზიციონერი, ორგანიზაცია „ქალები პოლიტიკაში“ ლიდერი ირინა აგრბა.

მისი თქმით, 2014 წელს გადატრიალების შედეგად ხაჯიმბა მოვიდა პოპულიზმის ტალღაზე, მან ხალხი მოატყუა და ახლა სამარცხვინოდ მიდის.

დეფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გამოჩნდა ახრა ავიძბა, რომელიც „დონბასის სახალხო რესპუბლიკის“ გმირია და რუსეთის მხარეს იბრძოდა.

ამბობენ, რომ საპროტესტო ჯგუფების მობილიზებაში მას სერიოზული წვლილი მიუძღვის.

# ვახტანგ მაისაია: „მსოფლიო წკიპზე დგას“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ხუსიტებმა არაერთხელ მიაყენეს სერიოზული ზიანი საუდის არაბეთის სტრატეგიულ ობიექტებს, როგორიცაა ნავთობსადენები და ნავთობტერმინალები, ასევე — სამხედრო ობიექტები და საკმაოდ სერიოზულად უწევენ წინააღმდეგობას საუდის არაბეთის ინტერესებს თვითონ რეგიონში. სწორედ ამ ხუსიტების უკან ირანი იდგა. ის ხელს უწყობდა ამ ომის განვითარება-პროვოცირებას.

აქედან გამომდინარე, როდესაც განხორციელდა ცნობილი თავდასხმები ირანულ ტანკერებზე, ორმუზის არხი და ყურეც კი ჩაიკეტა. ამან გამოიწვია სერიოზული კრიზისი. ითვლებოდა, რომ ამის უკან გენერალი სულეიმანი იდგა. ის იყო მთავარი ჰიბრიდული ომის სტრატეგიის მამამთავარი.

ისევე, როგორც ახლა რუსეთში ამჟამინდელი რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ვალერი გერასიმოვი ითვლება რუსული ჰიბრიდული ომის მამამთავრად, რომელმაც მიიღო შესაბამისი სამხედრო დოქტრინა, ასევე ითვლებოდა გენერალ-ლეიტენანტი ყასემ სულეიმანიც, ირანის ისლამური რევოლუციური გუშაგთა კორპუსის მეთაური, რომელიც სპეცსამსახურის ფუნქციასაც ითავსებდა. მას ევალებოდა ირანის გარეთ ქვეყნებში სპეციალური ოპერაციების ჩატარება.

***— კოალიციურ ძალებში ამერიკასთან ერთად დღეს ვინ არიან?***

— ბრიტანეთი, საფრანგეთი. გერმანიასაც ჰყავდა ერაყში ასეული. ასევე ერაყში იმყოფებოდნენ კანადელები.

***— მგონი, კანადელებს გაჰყავთ თავიანთი სამხედროები.***

— დიახ. დანარჩენები რჩებიან. ასევე იქ არიან ნორვეგია, დანია, პოლონეთი, უნგრეთი და ბალტიის სახელმწიფოები. ბრიტანეთმა ამერიკას განსაკუთრებული სოლიდარობა გამოუცხადა. ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ესკადრა უკვე შევიდა სპარსეთის ყურეში და მზად არის, თუ საჭირო იქნება, ამერიკელების მხარდასაჭერად საომარ მოქმედებებში მიიღოს მონაწილეობა.

საფრანგეთმა და გერმანიამ მხარი დაუჭირეს ამერიკის გადაწყვეტილებას და ირანის გასამხედროებული შენაერთის მეთაურ ყასემ სულეიმანის ლიკვიდაციას, მაგრამ, ფაქტობრივად, მათ მხოლოდ სიტყვიერად გამოხატეს მხარდაჭერა. რეალურად, ისინი გამოხატავენ შეშფოთებას, რომ შექმნილი ვითარება არ გადაიზარდოს ირან-ამერიკის ომში, რომელმაც შეიძლება სერიოზული კატაკლიზმები გამოიწვიოს.

***— ირანის საპასუხო დარტყმის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტმა საგანგებო ბრიფინგი გამართა. ყველა საპასუხო რეაქციას მოელოდა, მაგრამ ომს მოერიდა.***

— ირანმა დაბომბა ის ამერიკული ბაზა, საიდანაც სულეიმანის ლიკვიდაცია განხორციელდა. თუმცა საპასუხო დარტყმაზე ტრამპმა ირანს დაუწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები. თავდასხმაზე მაინცდამაინც მკაცრი რეაგირება არ მოახდინა.

არ არის გამორიცხული, აგრესიული ქმედებები გააგრძელოს და ამერიკას სამაგიერო გადაუხადოს. პენტაგონი და აშშ გამოცხადებული არიან ტერორისტულ ორგანიზაციებად, როგორც თავის დროზე ამერიკამ ირანის ისლამური გუშაგთა კორპუსი ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.

***— ირანის საპასუხო დარტყმამდე ტრამპი ირანს დაემუქრა, რომ თუ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი მოკვდებოდა, 52 ობიექტს დაარტყამდა.***

— საპასუხო დარტყმის შედეგად არც ერთი ამერიკელი ჯარისკაცი არ დაღუპულა. ეს მომენტი გამოიყენა ტრამპმა. ტრამპმა განაცხადა, რომ მათ დააფიქსირეს ირანული ბალისტიკური რაკეტების გაშვების დრო, დროულად შეიყვანეს ამერიკელი ჯარისკაცები თავშესაფარში.

ეს იყო ტრამპის მთავარი მესიჯი. ღმერთმა არ ქნას, შემდეგი თავდასხმა მოხდეს და მსხვერპლი მოჰყვეს. თორემ ამერიკის ადმინისტრაციის რეაქცია იქნება მკაცრი, მოხდება პირდაპირი დარტყმები.

***— ის 52 ობიექტი, რომლებზე დარტყმაც ტრამპმა საპასუხო დარტყმამდე დააანონსა, ალბათ, ირანის ტერიტორიაზე იქნება.***

— დიახ, ეს იქნება ბირთვული ობიექტები. მხოლოდ ირანში 12 ბირთვული ობიექტია. დანარჩენი არის სამხედრო ბაზები, ნავთობისა და გაზის ობიექტები, რომლებიც ირანის ეკონომიკის მთავარ საყრდენს წარმოადგენს. მოხდება საჰაერო-სარაკეტო დარტყმები ჰაერიდან და ზღვიდან. ამ ეტაპზე ირანის მთავრობას ტრაპმა ბურთი გადაუგდო.

***— თუკი ირანი არ გაჩერდება და ამერიკაც საპასუხოდ 52 ირანულ ობიექტს დაარტყამს, ირანი არ დაინგრევა? ირანი კი ამერიკის ტერიტორიამდე ვერ მიაღწევს.***

— ირანის ხელისუფლება ამერიკის მოკავშირე ქვეყნებს დაარტყამს, რაც ასევე აღიქმება ამერიკელებისთვის სილის გაწვნად. ასევე ის სამხედრო მოსამსახურეები, რომელთა ოდენობა დაახლოებით 15 ათას ადამიანს შეადგენს და განთავსებული არიან სირიაში, ერაყსა და სპარსეთის ყურეში, მძევლების მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. შეიძლება, მათ პროირანულმა დაჯგუფებამ დაარტყას.

ავღანეთზეც არის საუბარი. ავღანეთში იმყოფებიან ამერიკელი სამხედროები, მათ შორის ქართველი სამშვიდობოებიც მოიაზრებიან. ჩანს, ირანელები 13 დარტყმის ობიექტში ავღანეთში ამერიკის სამხედრო კონტინგენტზე თავდასხმასაც მოიაზრებენ. საუბარია ნატოს კონტინგენტზე, სადაც ამერიკელებს ამ ეტაპზე ჰყავთ 14 ათასი სამხედრო მოსამსახურე, სადაც ქართული სამხედრო კონტინგენტიც არის ნატოს ეგიდით.

***— ე.ი. თუ ირანსა და ამერიკას შორის ომი გაჩაღდება, საქართველოსაც შეეხება, ანუ ის ობიექტი ავღანეთში, სადაც მსახურობენ ქართველები, საფრთხის ქვეშ არის.***

— ვითარების ესკალაციის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ამერიკულ სამხედრო ბაზებს, მათ შორის, ბაგრამის, ქაბულისა და მაგარი შარიფის ბაზებს, შეიძლება, შეეხონ. თალიბებთან ერთად პროირანული დაჯგუფებებიც მოიაზრებიან. ამ კუთხით, შეიძლება, ირანმა განახორციელოს ამერიკულ ბაზებზე თავდასხმები, ასევე მოახდინოს პროირანული ხაზარული, შიიტური დაჯგუფებების ჩართვა.

არ არის გამორიცხული ირანსა და თალიბებს შორის ერთგვარი ალიანსის გაფორმებაც საერთო მტრის ანუ ამერიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ვარიანტიც სავსებით რეალურია, მით უმეტეს, არის ინფორმაცია, რომ თალიბების რაზმები ირანის ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნას გადიოდნენ.

ირანსა და თალიბებს შორის მუდამ არსებობდა დაპირისპირება, თავის დროზე მათ შორის მტრობაც იყო — თალიბებმა 9 ირანელ დიპლომატს თავი მოჰკვეთეს, მაგრამ მას შემდეგ დრო გავიდა. ახლა თალიბებსა და პროირანულ დაჯგუფებებს შეუძლიათ, ალიანსი შეკრან და ამერიკელების წინააღმდეგ იბრძოლონ. ასეთი ალიანსი არაერთხელ დაფიქსირებულა, როდესაც პროირანული დაჯგუფებები და თალიბები გაერთიანებულან, მაგალითად, ისლამური სახალიფოს წინააღმდეგ.

თალიბებიც და ირანიც ისლამურ სახალიფოს ებრძვიან. ამ შემთხვევაში, თუკი საერთო მტერზე იქნება საუბარი, ასეთი ალიანსის შეკვრა სერიოზული საფრთხე იქნება ამერიკული ინტერესებისთვის ავღანეთში.

***— აქ საინტერესოა თურქეთის პოზიციაც.***

— ერდოღანის ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ სულეიმანის ლიკვიდაციას გარკვეული რეაგირება უნდა მოჰყვეს. ფაქტობრივად, ირანს მხარი დაუჭირეს. ამერიკას ირანის წინააღმდეგ თურქეთის ტერიტორიას არ გამოაყენებინებენ.

***— ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ამერიკამ რომ სთხოვოს საქართველოს მთავრობას ირანის წინააღმდეგ ჩვენი ტერიტორიის გამოყენება, შესაძლებელია?***

— გამორიცხული არ არის, რადგან ერთადერთი ახლო ტერიტორია საქართველოა, ამერიკის სტრატეგიული მეგობარი, თუ ირანსა და ამერიკას შორის საომარი მოქმედებები დაიწყო. თუმცა ეს იქნება შეზღუდული ტიპის დახმარება. რეალურად, სამხედრო თვითმფრინავების გამოყენება საქართველოს ტერიტორიიდან ეფექტური ვერ იქნება, რადგან მათ უნდა გადალახონ რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები.

ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთი ირანს პირდაპირ აღმოუჩენს დახმარებას. შოიგუსა და ირანის ხელისუფლებას შორის პირდაპირი მოლაპარაკებები დაიწყო. ასევე პუტინის ჩასვლა სირიასა და ანკარაში შემთხვევითი არ არის. რუსებმა სპარსეთის ყურეში გააგზავნეს სპეციალური სამხედრო გემი ირანის მხარდასაჭერად. ამავე დროს, 27 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე სპარსეთის ყურესა და ორმუზის ყურეში ჩატარდა სამმხრივი სამხედრო-საზღვაო წვრთნები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჩინეთის, რუსეთისა და ირანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები.

***— მესამე მსოფლიო ომის კონტურები ხომ არ ჩანს?***

— მესამე მსოფლიო ომის კონტურები — არა, მაგრამ შეზღუდული სამხედრო კონფლიქტის კონტურები ნამდვილად ჩანს, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს რეგიონული ომის პრეცედენტამდე. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ თეორიულად შეიძლება, ირანს მხარი დაუჭირონ რუსეთმა და ჩინეთმა, რეგიონული ომის პერსპექტივები იზრდება, მით უმეტეს, რომ ამერიკელების მხარდამჭერად გამოდის ბრიტანეთი.

***— ორი ბანაკია, აქეთ — ჩინეთი, რუსეთი და ირანი, სირია (თურქეთიც მათთანაა), იქით — ამერიკა, ინგლისი, ევროკავშირის ქვეყნები, ნატო.***

— თუ საქმე საქმეზე მიდგება, ამერიკელებს, შეიძლება, მხოლოდ ბრიტანელების იმედი ჰქონდეთ. შესაძლოა, საუდის არაბეთიც დაუდგეს გვერდში. ომში სპარსეთის ყურის სახელმწიფოებიც ჩაებმებიან. ბრიტანეთისა და ამერიკის სამხედრო ძალები რომ მზად არიან, ფაქტია. როდესაც ერთობლივ სამხედრო წვრთნებს ატარებენ ირანი, რუსეთი და ჩინეთი, რაღაცაზე მეტყველებს.

***— ამერიკას ჩინეთის თამაშიდან გაყვანა არ შეუძლია სავაჭრო ომის დასრულებით?***

— ამ ეტაპზე ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ომი დასრულებულია, მაგრამ, ვერ ვიტყვით, რომ მათ შორის დასრულდა გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული დაპირისპირება. ჩინეთს გააჩნია სამართლიანი ამბიციები. ის მსოფლიოს ეკონომიკაში მეორე ქვეყანაა, სამხედრო წარმატებასაც მიაღწია, გააჩნია ძლიერი იდეოლოგია, რომელსაც არ დათმობს და ეწინააღმდეგება ამერიკის იდეოლოგიას — კომუნიზმი ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ჩინეთს აქვს გლობალური ამბიციები. „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტი პირდაპირ უპირისპირდება ამერიკის ინტერესებს ყველა მიმართულებით. ეს არის ევრაზიის მიმართულება, ახლო აღმოსავლეთი, სპარსეთის ყურე და ლათინური ამერიკა. ლათინურ ამერიკაშიც კი ჩინეთსა და ამერიკას შორის არის სერიოზული დაპირისპირება. ევროპაშიც არის დაპირისპირება. ბოლოს და ბოლოს, ანაკლიის პორტის პროექტი შეეწირა ამერიკა-ჩინეთის დაპირისპირებას.

***— განჭვრეტადია, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

— ამ ეტაპზე, შეიძლება, ტრამპმა უკან დაიხია, არ დაუშვა სიტუაციის ესკალაცია, ბრძნული ნაბიჯი გადადგა, მაგრამ, არ ვიცით, ირანის ხელმძღვანელობა შეჩერდება და კვლავ კონფრონტაციაზე წავა თუ არა. მსოფლიო წკიპზე დგას, მათ შორის, ჩვენც. ჩვენგან 800 კილომეტრში ხდება საშიში მოვლენები და მასში, შეიძლება, საქართველოც აღმოჩნდეს ჩართული.

***— ჩვენ როგორ შეიძლება აღმოვჩნდეთ ამერიკა-ირანის კონფლიქტში?***

— შესაძლოა, ამერიკამ შავი ზღვის აკვატორიიდან განახორციელოს დარტყმები ირანის მიმართულებით (ლტოლვილების ნაკადს გამოვრიცხავ. ეს სირიის კონფლიქტმაც აჩვენა). იმედია, სიტუაცია აქამდე არ მივა.

***— ირანი ამერიკასთან ომით რას მოიგებს?***

— ვერ გეტყვით. ეს უფრო ირანის, როგორც ჰეგემონის პოზიციების განვითარებას ემსახურება. ირანს აქვს პრეტენზია, რეგიონული ჰეგემონობიდან გლობალურ ჰეგემონობაზე გავიდეს, როგორც ისტორიულად იმპერიული ტიპის სახელმწიფო. მათთვის ამერიკის დამარცხება რეგიონში პრესტიჟის პოლიტიკაა. ყასემ სულეიმანის მკვლელობა ირანელებმა ომის გამოცხადებად აღიქვეს. სულეიმანის მკვლელობაზე პასუხით ირანმა თავისი სუვერენიტეტი დაიცვა.

## ზურაბ ბუდაღაშვილსა და შს სამინისტროს თანამშრომელს შორის სასამართლოზე შეკამათება მოხდა



თბილისის საქალაქო სასამართლოში 20 ივნისის საქმეზე დაკავებულების: ბესიკ თამლიანის, ზურაბ ბუდაღაშვილის, ცოტნე სოსელიასა და კახაბერ კუპრეიშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო.

მორიგი სხდომა 13 იანვარს, 10:30 საათზე დაინიშნა.

10 იანვრის პროცესზე ბრალდების მხარის ორი მოწმე უნდა დაეკითხათ, თუმცა მათგან მხოლოდ ერთი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის დაკითხვა მოხერხდა.

მოწმის დაკითხვის შემდეგ, დაცვისა და ბრალდების მხარის თხოვნით, სასამართლო პროცესი გადაიდო.

ბრალდების მხარის მოწმემ 20 ივნისის ღამის დეტალები გაიხსენა. გარდა ამისა, ბრალდების მხარემ წარადგინა ვიდეომტკიცებულება, რომელშიც მოწმემ საკუთარი თავი ამოიცნო და ასევე, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ბრალდებული ზურაბ ბუდაღაშვილი.

დაკითხვის დროს ბუდაღაშვილი მოწმესთან პოლემიკაში შევიდა და ჰკითხა, რა ნიშნით ამოიცნო ის კადრებში, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ ის ვიდეოკადრებში მონაწილე ერთ-ერთ პირს „ჭაღარა თმით“ მიამსგავსა.

როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს ადვოკატმა ვახტანგ იაშვილმა განუცხადა, მოწმე არ იცნობს ბრალდებულებს და ფაქტის პირდაპირი მოწმე არ არის.

— დღევანდელ პროცესზე დაიკითხა მოწმე, რომელმაც სატელევიზიო ფირზე საკუთარი თავი ამოიცნო, თუმცა არანაირი ამოსაცნობი ნიშანი მას არ ჰქონდა, ეკეთა ჩაფხუტი, ასევე აირწინაღი, რობოკოპში იყო შემოსილი და მიუხედავად იმისა, რომ რამე ნიშანი არ იყო, ამოიცნო საკუთარი თავი და რამდენიმე ადამიანი.

მოწმის თქმით, ჭაღარათმიანი ადამიანი იცნო ვიდეოზე. თვითონ მას ბუდაღაშვილი არ უნახავს, არ იცნობს, ამ კონკრეტული ფაქტის პირდაპირი მოწმე არ არის, — განაცხადა ადვოკატმა.

## ლაშა ჩიქოვანს 3.000 ლარიანი გირაო შეეფარდა



ყოფილი მეუღლის, ნინო გორგოშიძის, მიმართ შესაძლო მუქარის ფაქტზე ბრალდებულ სასულიერო პირს, ლაშა ჩიქოვანს, აღკვეთის ღონისძიების სახით 3.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძემ 10 იანვარს მიიღო.

პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას მოითხოვდა, დაცვის მხარე კი — მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას.

ლაშა ჩიქოვანს ნინო ჩიქოვანის (გორგოშიძის) მიმართ განხორციელებული შესაძლო მუქარის ფაქტზე ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარედგინა, რაც ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 წლამდე.

ნინო ჩიქოვანმა (გორგოშიძემ) 5 იანვარს სოციალურ ქსელში ვიდეო გამოაქვეყნა, სადაც ის თავის ყოფილ მეუღლეს, სასულიერო პირს, რომელიც სვანეთის უბანში წმინდა მოწამე არჩილისა და ლუარსაბის ტაძარში მსახურობს, ძალადობაში ადანაშაულებს.

ამასთან, სასულიერო პირის ყოფილი მეუღლე აცხადებდა, რომ ის ქორწინების დღიდან ძალადობის მსხვერპლი იყო როგორც მეუღლის, ასევე მისი მამამთილის მხრიდანაც, რომელიც ასევე სასულიერო პირია.

— გამიგიჟა ბავშვები, მამა ხარ, გვიყვარხარო, მწერენ ბავშვები, — ეს განცხადება ლაშა ჩიქოვანმა სასამართლოზე გააკეთა.

ჩიქოვანის ადვოკატის, ქეთევან ვარდანაშვილის განცხადებით, ნინო ჩიქოვანი მსხვერპლის სტატუსის მოპოვებას ცდილობს.

ადვოკატის თქმით, ნინო ჩიქოვანს ფინანსური დაინტერესება აქვს და ის მუდმივად ცილს სწამებს ლაშა ჩიქოვანს, რომ მასზე წარსულში ძალადობდა.

თავად ნინო გორგოშიძემ ყოფილი მეუღლე და მამამთილი ძალადობაში რამდენიმე დღის წინ დაადანაშაულა.

— მე ქორწინების დღიდან დღემდე ძალადობის მსხვერპლი ვარ. 5 წელია განქორწინებული ვარ და ამ ყველაფერს აქამდე იმიტომ ვითმენდი, რომ ჩემი მამამთილი, მამა ნიკოლოზი, ჩემს ყოფილ მეუღლეზე, მამა გიორგი ჩიქოვანზე მეუბნებოდა და მატყუებდა, რომ „კოდს ჩაუსვამდნენ“, უმკურნალებდნენ და აღარ დალევდა. პატრიარქისგან კურთხევა ჰქონდა ჩემს ყოფილ მეუღლეს, რამდენიმე ხანი არ სვამდა და ამ პერიოდში ჩვენ ოჯახში სიმშვიდე და ჰარმონია გვქონდა, მაგრამ, როგორც კი მან კურთხევა დაარღვია და სმა დაიწყო, ისევ ყველაფერი აირია.

ამდენი ხანი მე იმიტომ ვდუმდი, რომ არ მინდოდა ადამიანებს რწმენა შერყეოდათ. მე შემერყა რწმენა და ამ წლების განმავლობაში, სუიციდი 3-ჯერ ვცადე. მე ვდუმდი, რადგან ამ ადამიანის გაფარჩაკება არ მინდოდა. ვდუმდი იმიტომ, რომ ჩემი ყოფილი მეუღლე, ჩემი 5 შვილის მამა, თვითონ ძალადობის მსხვერპლია მისი მშობლებისგან, — განაცხადა იანვრის დასაწყისში ნინო გორგოშიძემ.

## ზუგდიდთან სამარშრუტო ტაქსი ამოყირავდა რამდენიმე ადამიანი დაშავდა



10 იანვარს ზუგდიდის სოფელ ყულიშკარში სამარშრუტო ტაქსის ამოყირავების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

მგზავრების ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი მიკროავტობუსის საბურავების დაშვება გახდა, თუმცა, მათივე თქმით, მძღოლმა სიტუაციიდან ოპტიმალური გამოსავალი იპოვა.

შემთხვევის შედეგად დაშავებული რამდენიმე მგზავრი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მედიკოსების ინფორმაციით, 3 პაციენტის, მათ შორის მოზარდის, მდგომარეობა სტაბილურია და მათ ზედაპირული ტრავმები აღენიშნებათ.

შუახნის ქალს კი, რომელსაც თავის ქალის ღია ტრავმა აღენიშნება, ოპერაცია ჩაუტარდა.

# უკრაინული ბოინგი ირანულმა რაკეტამ ჩამოაგდო?



მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინული თვითმფრინავი, რომელმაც 8 იანვარს, აფრენიდან რამდენიმე წუთში, თეირანის სიახლოვეს კატასტროფა განიცადა, ირანულმა საჰაერო თავდაცვის სისტემის რაკეტამ შეცდომით ჩამოაგდო.

ამერიკული საინფორმაციო სამსახური სიბიესი ამერიკულ დაზვერვაში არსებულ წყაროზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ რადარებმა 2 რაკეტის გაშვების შედეგად დატოვებული ინფრაწითელი კვალი დააფიქსირეს, რასაც აფეთქება მოჰყვა.

ნიუსუიკს პენტაგონის წარმომადგენლებისა და დაზვერვის მაღალჩინოსნების სიტყვები მოჰყავს, რომელთა მოსაზრებითაც, უკრაინული ბოინგი 737-800 რუსული წარმოების რაკეტის მიერ არის ჩამოგდებული.

— ვეჭვობ, რომ ვიღაცას შეიძლება შეცდომა დაეშვა, — ეს განცხადება პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 10 იანვარს გააკეთა.

პენტაგონის წარმომადგენელმა „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტს აცნობა, რომ უკრაინული თვითმფრინავი ირანელებმა ჩამოაგდეს.

კანადის პრემიერ ტრიუდოს აზრით, თვითმფრინავი მიწა-ჰაერის ტიპის რაკეტით არის ჩამოგდებული.

პრეზიდენტი ზელენსკი მომხდარის საერთაშორისო გამოძიებას მოითხოვს. ის ბრიტანეთის პრემიერ ჯონსონს დაუკავშირდა და გამოძიებაში დახმარება სთხოვა.

ჯონსონი დათანხმდა.

ირანი, თავის მხრივ, შეერთებულ შტატებს დიდ ტყუილში ადანაშაულებს.

ირანმა ამერიკას მოუწოდა, თვითმფრინავის კატასტროფის შესახებ დაელოდოს გამოძიების შედეგებს, ხოლო აშშ-ის თანამდებობის პირების ბრალდებები, რომ „ბოინგ 737“ რაკეტებმა ჩამოაგდეს, უარყო და დიდ ტყუილად შეაფასა.

ირანის მთავრობის პრესსპიკერმა ალი რაბიეიმ განაცხადა, რომ ასეთი დიდი სიცრუისთვის პასუხისმგებლობას არავინ აიღებს.

— ასეთი დიდი სიცრუისთვის პასუხისმგებლობას არავინ აიღებს მაშინ, როდესაც ცნობილი გახდება, რომ განცხადება სიცრუეა. სამწუხაროა, რომ შეერთებული შტატების მთავრობის ფსიქოლოგიური ოპერაცია და ისინი, ვინც ამას შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად მხარს უჭერენ, შეურაცხყოფას აყენებენ იმ ოჯახების ტრავმას, რომლებმაც ნათესავები დაკარგეს და ასევე, მათ ამგვარი მცდარი ინფორმაციის გავრცელებით მსხვერპლად აქცევენ გარკვეული მიზნებისთვის, — აღნიშნა მან.

# მძინარე მუსიკის მასწავლებელს ძვირფასი ვიოლინო მოჰპარეს



ავსტრალიის ქალაქ მელბურნში უცნობმა ბოროტმოქმედებმა მუსიკის მასწავლებელს 111 წლის ხელით ნაკეთი ვიოლინო და სხვა ძვირფასი მუსიკალური ინსტრუმენტები მოჰპარეს.

მუსიკის მასწავლებლის ჯენი ოკლშოუს სახლში ქურდები 7 იანვრის ღამეს შეიპარნენ. მათ 100 ათასი ავსტრალიური დოლარის ღირებულების მუსიკალური ინსტრუმენტები მოიპარეს, მათ შორის უიშვიათესი ვიოლინო, რომელიც 1908 წელს იქნა დამზადებული და რომელზეც ოკლშოუ ყოველდღე უკრავდა. ამ მუსიკალური ინსტრუმენტის ფასი 70 ათასი ავსტრალიური დოლარია.

გარდა ამისა, მძარცველებმა თან გაიყოლეს სხვა ვიოლინოები, ერთ-ერთი მათგანის ფუტლარი, ალტი და ვიოლონჩელი. იაფფასიანი მუსიკალური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც დამწყები მუსიკოსებისთვის არის განკუთვნილი, ბოროტმოქმედებს ხელი არ უხლიათ. პოლიცია მიიჩნევს, რომ ეს მიზანმიმართული ქურდობა იყო და ბოროტმოქმედებმა იცოდნენ, რაც უნდა მოეპარათ.

ოკლშოუს ბინასა და ქონებაზე დაზღვევა აქვს, მაგრამ 111 წლის ვიოლინო დაზღვეული არ ყოფილა. ქალის განმარტებით, ის ნახევარ განაკვეთზე მუშაობს და ამიტომ მაღალი სადაზღვევო გადასახადის საშუალება არ ჰქონდა.

მუსიკის მასწავლებელმა ქურდობის თაობაზე მელბურნის ყველა და სიდნეის რამდენიმე მუსიკალური მაღაზია გააფრთხილა. მას ვიოლინოს საბუთები დარჩა და ფიქრობს, რომ მათ გარეშე მძარცველებს ინსტრუმენტის გაყიდვა ძალიან გაუჭირდებათ, ხოლო ავსტრალიის ფარგლებს გარეთ მას არც ისე დიდი ფასი ექნება.

თვითმხილველებმა პოლიციას აცნობეს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს დაინახეს, თუ როგორ ჩაჯდა შლაპიანი მამაკაცი ვერცხლისფერ ავტომობილში.

# გერმანელმა ეროტიკულ საუნაში ქვითარი მოითხოვა



გერმანიაში მამაკაცს საუნაში ყოფნის შემდეგ მისთვის გაწეული მომსახურების საფასურის ქვითრის მიცემაზე უარი უთხრეს. საბოლოოდ ვითარებაში გარკვევა მხოლოდ ადგილზე მისულმა პოლიციამ შეძლო.

საქმე ისაა, რომ 2020 წლის 1 იანვრიდან ნებისმიერი ბიზნესი ვალდებულია გაყიდული საქონლის თუ გაწეული მომსახურებისთვის კლიენტს ქვითარი წარუდგინოს. თუმცა, როდესაც მამაკაცმა იანვრის პირველივე დღეებში საუნაში სტუმრობის შემდეგ ქვითარი მოითხოვა, მას უარი უთხრეს. უფრო მეტიც, ორგანიზაციის უსაფრთხოების დაცვის სამსახურმა მამაკაცი დაწესებულებიდან გამოაძევა. მან საბუთის მიღება მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიციელები გამოცხადდნენ.

სამართალდამცავ ორგანოებში განაცხადეს, რომ მათთვის უცნობია, თუ კონკრეტულად რა მომსახურება გაეწია მამაკაცს საუნაში და რატომ მოითხოვდა ის ასე დაჟინებით ქვითარს. თუმცა მსგავს დაწესებულებებში მეძავები მუშაობენ, რომლებიც კლიენტებს ეროტიულ მომსახურებას უწევენ. გარდა ამისა, ასეთ ადგილებში ნუდისტური წვეულებებიც იმართება.

# აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ ტრამპს ომის დაწყების უფლება შეუზღუდა



აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ირანის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყების უფლებას უზღუდავს.

რეზოლუციის თანახმად, პრეზიდენტს კონგრესის თანხმობის გარეშე ირანის წინააღმდეგ ამერიკული ჯარის გამოყენების უფლება არ აქვს.

კანონმდებლებმა რეზოლუცია 224 ხმით 194-ის წინააღმდეგ დაამტკიცეს.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატიდან რეზოლუცია სენატში გადაინაცვლებს, რომლის უმრავლესობას დონალდ ტრამპის რესპუბლიკური პარტიის წევრები შეადგენენ.

თუკი დოკუმენტს სენატიც დაუჭერს მხარს, მის ძალაში შესასვლელად ტრამპის ხელმოწერა საჭირო აღარ იქნება.

თეთრი სახლის განცხადებით, რეზოლუცია „სასაცილო“ და „პოლიტიკურად მოტივირებულია“.

— ის ძირს უთხრის აშშ-ის შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი მოქალაქეები, — ნათქვამია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცი ყოფილ შეყვარებულს ფულს ინტიმური სურათებით სძალავდა



შოტლანდიის ქალაქ პეისლიში მამაკაცი ყოფილ შეყვარებულს ფულს ინტიმური ფოტოსურათების გამოქვეყნების მუქარით სძალავდა.

კირსტი ნილისი ლუი ტედფორდს ორი წლის განმავლობაში ხვდებოდა. 2017 წლის ივნისში, მორიგი კამათის შემდეგ, ქალმა მამაკაცთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა და დედასთან დაბრუნდა. ამის შემდეგ ტედფორდმა მას ტელეფონზე მისი ინტიმური ფოტოსურათების გაგზავნა დაუწყო და ცხოვრების დანგრევით ემუქრებოდა. ის მისთვის თვეში 300 ფუნტი სტერლინგის გადახდას მოითხოვდა იმის სამაგიეროდ, რომ ფოტოსურათებს სოციალურ ქსელებში არ გამოაქვეყნებდა.

ნილისმა მამაკაცის მუქარებს ვერ გაუძლო და დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. 7 იანვარს ტედფორდი რვა თვით ციხეში მოათავსეს. სასამართლოზე მან საკუთარი ბრალი აღიარა. მას ხუთი წლით აეკრძალა ნილისთან მიახლოება და ყოველგვარი კონტაქტის დამყარება.

# სქელმა წარბებმა გოგონას სახელი გაუთქვა



დანიელმა ახალგაზრდა ვიზაჟისტმა გოგონამ სქელი შავი მონოწარბები მოუშვა და სოციალურ ქსელებში სახელი გაითქვა. საკუთარი ისტორია 18 წლის სარა მარი კლარკმა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას გაუზიარა.

გოგონამ წარბების გამოქნაზე უარი 2019 წლის მარტიდან თქვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეგობრები ამის წინააღმდეგი იყვნენ. მას ასეთი ნაბიჯის გადადგმა გადააწყვეტინა იმან, როდესაც ნახა ინსტაგრამში, თუ როგორ ახატავდნენ სხვა ვიზაჟისტები ცალ სქელ წარბს მოდელებს.

— ასე ნელ-ნელა დავიწყე საკუთარი მონოწარბების გაზრდა, თუმცა მასთან შესაგუებლად დრო დამჭირდა. შემდეგ ვნახე, რომ ინსტაგრამში სულ უფრო და უფრო მეტი გოგონა აკეთებდა იმავეს და ამან უფრო მეტად თავდაჯერებული გამხადა, — ხაზგასმით აღნიშნა გოგონამ.

ახალი გარეგნობის წყალობით კლარკი ფოტოგრაფების დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა და სამოდელო კარიერა დაიწყო. მან ასევე აღიარა, რომ ახლა უფრო მეტ ყურადღებას გრძნობს მამაკაცების მხრიდან, თუმცა ზოგიერთი მათგანი მას მაინც აკრიტიკებს მისი ასეთი გარეგნობის გამო.

გოგონამ ისიც აღნიშნა, რომ ზოგჯერ უცნობები საზოგადოებრივ ადგილებში ფოტოსურათებს უღებენ და დასცინიან. ის საკუთარ ფოტოზე უარყოფით კომენტარებს ყოველთვის შლის.

# ქალმა თუთიყუშის ყვირილზე პოლიცია გამოიძახა



ამერიკის ფლორიდის შტატის მკვიდრმა ქალბატონმა თუთიყუშის ყვირილის ხმა გაიგონა, რომელიც დახმარებას ითხოვდა და პოლიცია გამოიძახა. ამის შესახებ ინფორმაციას პალმ-ბიჩის ოლქის შერიფის ოფისი ტვიტერში საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

ქალმა სამართალდამცავ ორგანოებში დარეკა მას შემდეგ, რაც გაიგონა ძახილი: „გამომიშვი, გამომიშვი!“ გამოძახების ადგილზე სახლთან შერიფის ოთხი თანაშემწე გამოცხადდა.

სადარბაზოს შესასვლელთან მათ სახლის პატრონი დაინახეს, რომელიც მანქანის შეკეთებით იყო დაკავებული. პოლიციელების თხოვნით ის სახლში დაბრუნდა და მალე იქიდან თუთიყუშთან ერთად დაბრუნდა, რომელიც იგივეს ყვიროდა. „დაშავებულის“ ნახვის შემდეგ პოლიციელებს გაეცინათ.

სახლის პატრონმა მომხდართან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა:

— მას რემბო ჰქვია, ის ქანდარაზე იჯდა, ყვიროდა... მე ის პოლიციელებსა და მეზობელ ქალს გავაცანი და ყველამ ერთად იცინა.

მამაკაცის თქმით, მისმა თუთიყუშმა დახმარების თხოვნის გამომხატველი ყვირილი დიდი ხნის წინ ისწავლა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# რევაზ ჩომახიძე: „ჩვენი მიზანი 12 საუკეთესო გუნდში მოხვედრაა“

12 იანვარს ბუდაპეშტში დაიწყება წყალბურთელ ვაჟთა ევროპის 34-ე ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს.

მოახლოებულ ჩემპიონატში მონაწილეობას ევროპის 16 საუკეთესო ნაკრები მიიღებს, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი.

**ა ჯგუფი:** გერმანია, სლოვაკეთი, ხორვატია, ჩერნოგორია;

**ბ ჯგუფი:** რუმინეთი, სერბეთი, ნიდერლანდები, რუსეთი;

**ც ჯგუფი:** მალტა, თურქეთი, ესპანეთი, უნგრეთი;

**დ ჯგუფი:** იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, საქართველო.

ჯგუფებში 1-3 ადგილებზე გასული გუნდები მომდევნო რაუნდში თამაშის უფლებას მოიპოვებენ, თანაც პირველადგილოსნები პირდაპირ მეოთხედფინალში გავლენ, ხოლო 2-3 ადგილზე გასულები ფლეი ოფში შეხვდებიან ერთმანეთს. ქართველ წყალბურთელებს ჯგუფში მე-3 ადგილის დაკავების შანსი აქვთ. ამ შემთხვევაში მეოთხედფინალის საგზურისთვის მერვედფინალში ბ ჯგუფის მეორეადგილოსანთან გაარკვევენ ურთიერთობას, ჯგუფში ბოლო ადგილებზე გასულები კი 13-16 ადგილებისთვის ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ რევაზ ჩომახიძის შეგირდები ევროპირველობაზე ზედიზედ მეოთხედ ითამაშებენ. ჩვენების განრიგი ასე გამოიყურება:

**14 იანვარი:** საფრანგეთი-საქართველო;

**16 იანვარი:** საბერძნეთი-საქართველო;

**18 იანვარი:** იტალია-საქართველო.



საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მზადების ბოლო ეტაპი გაიარა და ბუდაპეშტისკენ გეზს დღეს აიღებს.

როგორც უკვე გითხარით, ქართველებს ჯგუფურ ეტაპზე უმთავრეს მიზნად საფრანგეთის ეროვნული გუნდის დამარცხება ექნებათ დასახული, რადგანაც საბერძნეთთანა და იტალიასთან წარმატებაზე ფიქრი ძალიან ძნელია.

საინტერესოა, რომ ქართველი წყალბურთელები ევროპირველობაზე შედეგს ყოველ ჯერზე აუმჯობესებდნენ. საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ფინალურ ეტაპზე პირველად 2014 წელს (უნგრეთში) ითამაშა და 7-ვე მატჩი წააგო, 2016-ში (სერბეთში) ერთხელ იმარჯვა, 2018-ში (ესპანეთში) კი, უკვე 2 შეხვედრა მოიგო და ტურნირი მე-13 ადგილზე დაასრულა.

უნგრეთში გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა. ჩვენც მთავარ მწვრთნელ რევაზ ჩომახიძეს გავესაუბრეთ.

***— ბოლო რეპეტიცია ჩერნოგორიაში გამართული ოთხთა ტურნირი იყო. რამდენად კმაყოფილი დარჩით გუნდის მომზადებით?***

— ჩერნოგორიაში მოგება-წაგებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან მთავარი მიზანი იყო გუნდის ფიზიკური და ტაქტიკური მზადყოფნა შეგვემოწმებინა. ჩერნოგორიაშივე უნდა შეგვერჩია ის ტაქტიკური მონახაზი, რომლითაც ბუდაპეშტში ვიასპარეზებთ, ასევე, ნაკრების საბოლოო შემადგენლობა უნდა დაგვეზუსტებინა. ჩერნოგორიაში ოპტიმალური შემადგენლობით არც ერთი მატჩი არ გვითამაშია, რადგან 2 სათადარიგო მოთამაშე წავიყვანეთ და ყველა მათგანს მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. ცალკეულ ხარვეზებზე ყურადღებას თუ არ გავამახვილებთ, პოდგორიცაში გუნდის გამოსვლით უკმაყოფილო არ ვარ.

***— კონკრეტულად რა კონტურები გამოიკვეთა?***

— ჩერნოგორიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ფავორიტი რომ იქნება, ეს ამ ტურნირზეც დაამტკიცეს. პირველ ტურში სწორედ მათ შევხვდით და 6-ბურთიანი სხვაობით დავმარცხდით. ამაში არაფერია საგანგაშო — ჩვენზე გამოცდილმა და უკეთესად მომზადებულმა გუნდმა მოგვიგო. სრულიად განსხვავებული თამაში გვქონდა საფრანგეთთან. ფრანგები ევროპის ჩემპიონატზეც ჩვენს ჯგუფში არიან, ამიტომ არც ჩვენ და არც მეტოქეს საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე არ გამოგვივლენია, ბევრი რამ საიდუმლოდ დარჩა 14 იანვრისთვის, როცა კონტინენტის პირველობის სასტარტო შეხვედრაში ერთმანეთს დავუპირისპირდებით. თუმცა, ვიტყვი იმასაც, რომ ამ ეტაპზე ფრანგები ფავორიტები არიან, თუმცა იმაშიც დავრწმუნდით, რომ მეტოქისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა შეგვიძლია და წარმატების თეორიული შანსი ჩვენც გვაქვს. ჩვენი მიზანიც ეს არის, რადგან საფრანგეთთან მოგებით ევროპის 12 საუკეთესოში გავინაღდებთ ადგილს, რაც, შესაძლოა, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირში საასპარეზოდ საკმარისი აღმოჩნდეს. გერმანელებთან თამაში უფრო მნიშვნელოვანი მათთვის იყო. ალბათ, გახსოვთ, თბილისში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე 2 ბურთით მოვუგეთ. მაშინ ის მარცხი სტუმრებმა შემთხვევითობას მიაწერეს და ამჯერად სარევანშოდ იყვნენ განწყობილნი, თუმცა გერმანიამ ვერ აჩვენა სასურველი თამაში. ამის საშუალება არ მისცეს ქართველმა წყალბურთელებმა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური რაუნდის მონაწილეებს ნეიტრალურ მოედანზე სამი ბურთის სხვაობით აჯობეს.

***— ყველა წყალბურთელი მწყობრშია? როგორც ვიცით, ფაბიო ბარალდის ტრავმა აწუხებდა.***

— ჰქონდა გარკვეული პრობლემები. ამიტომაც ამიტომ პირველ ტურში მთელი დატვირთვით არ ვათამაშეთ, ფრანგებთან კი განაცხადშიც არ შეგვიყვანია, გერმანელებთან კი 3 გოლით შეეწია ნაკრებს. ვფიქრობ, ბუდაპეშტში საფრანგეთთან ორთაბრძოლისთვის ის ჩვეულ ფორმაში იქნება. საგულისხმოა ისიც, რომ პოდგორიცაში ერთი მეკარით წავედით, რადგან ირაკლი რაზმაძე გამგზავრების წინ ავად გახდა. მესამე ტურში სიცხიანი იდგა კარში შუბლაძე, თუმცა ამას ნიკას თამაშზე ზეგავლენა არ მოუხდენია — ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

***— რას გეგმავთ ბუდაპეშტში?***

— ბუდაპეშტში 11 იანვარს გავემგზავრებით. პირველ მატჩამდე ჯერ კიდევ დროა. ხარვეზების გამოსასწორებლად რამდენიმე ცვლილებას მოვასწრებთ, საბოლოო ტაქტიკაზეც ჩამოვყალიბდებით და ვეცდებით, კვირის ბოლოს მომზადების პიკზე ვიყოთ, რომ ფრანგებთან მატჩში ქომაგები გავახაროთ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატზე ასეთია:

**მეკარეები:** ნიკოლოზ შუბლაძე, ირაკლი რაზმაძე;

**მოთამაშეები:** ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, რევაზ იმნაიშვილი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, ხვიჩა ჯახაია, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, გიორგი მაგრაქველიძე, ფაბიო ბარალდი, ბორის ვაპენსკი.

# ინგლისში ლიგის ფინალის რიმეიკია




## სტატისტიკა, ფსონები

ევროპის წამყვან ქვეყნებში გრძელდება ეროვნული ჩემპიონატები. ესპანეთში დასვენება სუპერთასის გამოა, ხოლო გერმანელები თებერვალში განაახლებენ.

ინგლისში შარშანდელი ლიგის ფინალის გამეორებაა — ტოტენჰემი-ლივერპული. იტალიაში კი ყველაზე საინტერესო ტურია — ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდები ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.01 კრ.პალასი-არსენალი | 4.10 | 3.70 | 1.88 |
| 11.01 ჩელსი-ბარნლი | 1.33 | 5.00 | 10.50 |
| 11.01 მანჩესტერი-ნორვიჩი | 1.40 | 4.90 | 7.75 |
| 11.01 ევერტონი-ბრაიტონი | 1.94 | 3.55 | 4.00 |
| 11.01 ლესტერი-საუთჰემპტონი | 1.69 | 3.85 | 5.10 |
| 11.01 ვულვზი-ნიუკასლი | 1.50 | 4.00 | 7.50 |
| 11.01 ტოტენჰემი-ლივერპული | 4.55 | 4.05 | 1.72 |
| 12.01 ბორნმუთი-უოტფორდი | 2.70 | 3.20 | 2.75 |
| 12.01 ასტონ ვილა-სიტი | 13.00 | 7.80 | 1.18 |

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 20 | 19 | 1 | 0 | 49-14 | 58 |
| 2.ლესტერი | 21 | 14 | 3 | 4 | 46-19 | 45 |
| 3.სიტი | 21 | 14 | 2 | 5 | 56-24 | 44 |
| 4.ჩელსი | 21 | 11 | 3 | 7 | 36-29 | 36 |
| 5.მანჩესტერი | 21 | 8 | 7 | 6 | 32-25 | 31 |
| 6.ტოტენჰემი | 21 | 8 | 6 | 7 | 36-30 | 30 |
| 7.ვულვზი | 21 | 7 | 9 | 5 | 30-27 | 30 |
| 8.შეფილდი | 21 | 7 | 8 | 6 | 23-21 | 29 |
| 9.კრ.პალასი | 21 | 7 | 7 | 7 | 19-23 | 28 |
| 10.არსენალი | 21 | 6 | 9 | 6 | 28-30 | 27 |
| 11.ევერტონი | 21 | 7 | 4 | 10 | 24-32 | 25 |
| 12.საუთჰემპტონი | 21 | 7 | 4 | 10 | 25-38 | 25 |
| 13.ნიუკასლი | 21 | 7 | 4 | 10 | 20-33 | 25 |
| 14.ბრაიტონი | 21 | 6 | 6 | 9 | 25-29 | 24 |
| 15.ბარნლი | 21 | 7 | 3 | 11 | 24-34 | 24 |
| 16.ვესტ ჰემი | 20 | 6 | 4 | 10 | 25-32 | 22 |
| 17.ასტონ ვილა | 21 | 6 | 3 | 12 | 27-37 | 21 |
| 18.ბორნმუთი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-32 | 20 |
| 19.უოტფორდი | 21 | 4 | 7 | 10 | 17-34 | 19 |
| 20.ნორვიჩი | 21 | 3 | 5 | 13 | 22-41 | 14 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.01 კალიარი-მილანი | 3.10 | 3.30 | 2.38 |
| 11.01 ლაციო-ნაპოლი | 2.14 | 3.65 | 3.25 |
| 11.01 ინტერი-ატალანტა | 2.18 | 3.50 | 3.30 |
| 12.01 უდინეზე-სასუოლო | 2.26 | 3.35 | 3.25 |
| 12.01 ტორინო-ბოლონია | 2.38 | 3.30 | 3.05 |
| 12.01 სამპდორია-ბრეშა | 2.04 | 3.35 | 3.85 |
| 12.01 ფიორენტინა-სპალი | 1.51 | 4.10 | 7.00 |
| 12.01 ვერონა-ჯენოა | 2.26 | 3.25 | 3.35 |
| 12.01 რომა-იუვენტუსი | 3.10 | 3.50 | 2.26 |
| 13.01 პარმა-ლეჩე | 1.95 | 3.70 | 3.75 |

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 18 | 14 | 3 | 1 | 39-15 | 45 |
| 2.იუვენტუსი | 18 | 14 | 3 | 1 | 35-17 | 45 |
| 3.ლაციო | 17 | 12 | 3 | 2 | 40-17 | 39 |
| 4.რომა | 18 | 10 | 5 | 3 | 33-19 | 35 |
| 5.ატალანტა | 18 | 10 | 4 | 4 | 48-25 | 34 |
| 6.კალიარი | 18 | 8 | 5 | 5 | 33-27 | 29 |
| 7.პარმა | 18 | 7 | 4 | 7 | 24-25 | 25 |
| 8.ნაპოლი | 18 | 6 | 6 | 6 | 28-25 | 24 |
| 9.ტორინო | 18 | 7 | 3 | 8 | 24-26 | 24 |
| 10.ბოლონია | 18 | 6 | 5 | 7 | 28-30 | 23 |
| 11.ვერონა | 17 | 6 | 4 | 7 | 19-20 | 22 |
| 12.მილანი | 18 | 6 | 4 | 8 | 16-24 | 22 |
| 13.უდინეზე | 18 | 6 | 3 | 9 | 14-28 | 21 |
| 14.სასუოლო | 18 | 5 | 4 | 9 | 30-31 | 19 |
| 15.ფიორენტინა | 18 | 4 | 6 | 8 | 22-29 | 18 |
| 16.სამპდორია | 18 | 4 | 4 | 10 | 14-27 | 16 |
| 17.ლეჩე | 18 | 3 | 6 | 9 | 22-36 | 15 |
| 18ბრეშა | 18 | 4 | 2 | 12 | 16-31 | 14 |
| 19.ჯენოა | 18 | 3 | 5 | 10 | 19-36 | 14 |
| 20.სპალი | 18 | 3 | 3 | 12 | 12-28 | 12 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.01 ბორდო-ლიონი | 3.25 | 3.20 | 2.32 |
| 11.01 ტულუზა-ბრესტი | 2.32 | 3.30 | 3.20 |
| 11.01 ნიმი-რეიმსი | 3.30 | 2.95 | 2.46 |
| 11.01 ანჟე-ნიცა | 2.06 | 3.30 | 3.85 |
| 11.01 მეცი-სტრასბური | 2.95 | 2.95 | 2.70 |
| 11.01 ამიენი-მონპელიე | 3.40 | 3.10 | 2.30 |
| 12.01 სტ.ეტიენი-ნანტი | 2.60 | 2.95 | 3.05 |
| 12.01 დიჟონი-ლილი | 3.95 | 3.25 | 2.05 |
| 12.01 პსჟ-მონაკო | 1.24 | 6.80 | 10.25 |

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 15 | 0 | 3 | 43-10 | 45 |
| 2.მარსელი | 19 | 11 | 5 | 3 | 29-21 | 38 |
| 3.რენი | 18 | 10 | 3 | 5 | 24-17 | 33 |
| 4.ლილი | 19 | 9 | 4 | 6 | 24-21 | 31 |
| 5.ნანტი | 19 | 9 | 2 | 8 | 17-18 | 29 |
| 6.მონაკო | 18 | 8 | 4 | 6 | 31-26 | 28 |
| 7.რეიმსი | 18 | 7 | 7 | 4 | 16-10 | 28 |
| 8.ანჟე | 19 | 8 | 4 | 7 | 22-24 | 28 |
| 9.მონპელიე | 19 | 7 | 6 | 6 | 26-19 | 27 |
| 10.ნიცა | 19 | 8 | 3 | 8 | 28-27 | 27 |
| 11.სტრასბური | 19 | 8 | 3 | 8 | 23-24 | 27 |
| 12.ლიონი | 19 | 7 | 5 | 7 | 29-18 | 26 |
| 13.ბორდო | 19 | 7 | 5 | 7 | 28-22 | 26 |
| 14.სტ.ეტიენი | 19 | 7 | 4 | 8 | 22-29 | 25 |
| 15.ბრესტი | 19 | 5 | 7 | 7 | 21-24 | 22 |
| 16.დიჟონი | 19 | 4 | 6 | 9 | 14-22 | 18 |
| 17.მეცი | 19 | 3 | 8 | 8 | 17-28 | 17 |
| 18.ამიენი | 18 | 4 | 5 | 9 | 21-36 | 17 |
| 19.ნიმი | 18 | 2 | 6 | 10 | 13-32 | 12 |
| 20.ტულუზა | 19 | 3 | 3 | 13 | 19-39 | 12 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სილამაზის დედოფალი დაფეხმძიმდა და სელფის გადაღებამ გაიტაცა

ბრიტანელი სელფის გადაღებებითაა გატაცებული და ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე ყოველდღე 30-მდე სელფის აქვეყნებს. ასე რომ, წელიწადში მათი რაოდენობა 11 ათასს აღწევს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბრიტანელები საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 450 სელფის იღებენ, ანუ 1-2 დღეში.

22 წლის ოტემ მეისონი ღიად აღიარებს, რომ სელფდამოკიდებული გახდა, თუმცა ამავე დროს ამტკიცებს, რომ პატივმოყვარე არ არის. მისი თქმით, დიდი რაოდენობით სელფების გამოქვეყნება მისთვის დღიურის წარმოების საშუალებას წარმოადგენს. როგორც გოგონამ განაცხადა, რომელიც 2016 წელს ადგილობრივი სილამაზის კონკურსის დედოფალი გახდა, მას ყოველთვის უყვარდა ფოტოსურათების გადაღება და ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს დღეში მინიმუმ ერთ სელფის მაინც აქვეყნებდა. თუმცა მასზე ნამდვილად დამოკიდებული დაფეხმძიმების შემდეგ გახდა.




— ეს ისეთი ამაღელვებელი იყო და სულ უფრო მეტი და მეტი საკუთარი თავისთვის სურათის გადაღება მინდებოდა. ყოველდღე ათეულობით სელფის ვიღებდი, რათა საკუთარი მუცელი გამომეჩინა. არ შემეძლო შეჩერება და როგორც კი სარკის წინ აღმოვჩნდებოდი, საკუთარ თავს სურათს ვუღებდი, — ამბობს მეისონი. ბავშვის გაჩენის შემდეგ, მან დიდი რაოდენობით სელფის გადაღება გააგრძელა და მასში უკვე საკუთარი შვილიც ჩართო.

მეისონის მტკიცებით, თავისი შვილის მამას ბილი ლიუისს ასევე ფოტოსურათების გადაღების მიმართ სიყვარულის წყალობით შეხვდა. მათ ერთმანეთი ტინდერის დახმარებით გაიცნეს და პირველივე პაემანზე ლიუისმა გოგონას უთხრა, მისი გაცნობა იმიტომ გადაწყვიტა, რომ ის ფოტოსურათებზე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა.

# ორი დაქალი ერთდროულად გამდიდრდა




აშშ-ში ბავშვობის მეგობრებმა გადაწყვიტეს, ბედი ეცადათ, ლატარია ითამაშეს და ერთდროულად გამდიდრდნენ.

2019 წლის ოქტომბერში ქალმა, რომელმაც თავი მაიტად წარადგინა, ლატარიაში 100 ათასი დოლარი მოიგო. მან მოგების განაღდება ახალი წლის შემდეგ გადაწყვიტა.

— რამდენიმე კვირის შემდეგ კიდევ 1,8 ათასი დოლარი მოვიგე, ამჯერად — ადგილობრივ კაზინოში, — განაცხადა ქალმა.

კაზინოში მოგების შემდეგ მაიტმა საკუთარი წარმატების შესახებ ბავშვობის მეგობარ კელის უამბო. ამ ახალმა ამბავმა დაქალს ლატარიის თამაშში ბედის ცდისკენ უბიძგა.

— განსაკუთრებულად არ მიფიქრია იმაზე, თუ რომელი ბილეთები შემეძინა, — ამბობს კელი. შედეგად ერთ-ერთმა ბილეთმა მას 20,2 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

დაქალები ერთად მივიდნენ ლატარიის შტაბბინაში და ერთად გამოიტანეს საკუთარი მოგებები. მათ არაფერი განაცხადეს იმის თაობაზე, თუ რაში აპირებენ მოგებული ფულის დახარჯვას.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 2. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 3. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. უდაბნოში მზარდი მცენარე; 5. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ქართული რადიო; 12. მღვდლის ცოლი; 14. ინფექციის გამომწვევი მიკროორგანიზმი; 15. ჭადრაკის ფიგურა; 17. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 18. ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა ბირჟაზე.

**თარაზულად:** 6. შტატი აშშ-ში; 7. მწვანეთა და ეკოლოგთა საერთაშორისო ორგანიზაცია; 8. სპეციალური მიკროკლიმატის მქონე კამერა, რომელშიც ათავსებენ დღენაკლულ ჩვილ ბავშვს სამკურნალოდ; 10. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 13. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 16. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 19. ტრაგიკულად დაღუპული ცნობილი ქართველი მეან-გინეკოლოგი, აკადემიკოსი; 20. ჯუზეპე ვერდის ოპერა.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჯაგანი; 2. ასპენი; 3. ზელინსკი; 4. დნეპრი; 6. თუთიყუში; 8. ნიანგი; 11. კელასური; 12. ბორჯომი; 16. კელია; 17. ბედია; 18. ოკაპი.

**თარაზულად**: 1. ჯაკარტა; 5. გოეთე; 7. ჟენშენი; 9. არტერია; 10. სპეკალი; 13. გირკანი; 14. ფეტიში; 15. მომა; 19. ოჯალეში; 20. ბენეფისი; 21. სალუქვაძე; 22. დინარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დესანტი; 2. ფხოვი; 3. რეზექცია; 4. ავოკადო; 5. ტექტონიკა; 9. აფონია; 12. გურზუფი; 14. დიბალა; 15. არგო; 17. რეალი; 18. აზიო.

**თარაზულად**: 6. მეტეხი; 7. ცერცვაძე; 8. ცაცხვი; 10. ქაირო; 11. ჰიდროფობია; 13. ადორაცია; 16. ტუნდრა; 19. ბრიუსელი; 20. ფანდანგო.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 იანვარი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8986

ევრო — 3.2154

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7856

100 რუსული რუბლი — 4.7174

## ამინდის პროგნოზი 11 იანვრისთვის




## კატარის ბიბლიოთეკის დარბაზში ქართული ძველნაბეჭდი წიგნები გამოიფინება



სულ მალე კატარის ბიბლიოთეკის დარბაზში ქართული ძველნაბეჭდი წიგნები გამოიფინება.

ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ გაავრცელა:

– დიდი და ისტორიული ამბავი დოჰადან: საქართველოსა და კატარის ეროვნულ ბიბლიოთეკებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელი დოკუმენტს ჩემს კოლეგასთან, სოჰაირ ვასტავისთან ერთად მოვაწერე.

ეს ჩვენი პირველი შეთანხმებაა ამ რეგიონის ქვეყნებთან და უამრავ პერსპექტივას გულისხმობს, მათ შორის უახლოეს მომავალში კატარის ბიბლიოთეკის ფანტასტიკურ დარბაზში ქართული ძველნაბეჭდი წიგნების გამოფენას.

## ალიბეგლოს თეატრი თბილისში ჩამოდის



ისტორიული ჰერეთის – საინგილოს სოფელ ალიბეგლოს თეატრი თბილისში ჩამოდის.

**ნიკოლოზ წულუკიძე, თეატრმცოდნე:**

– 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა! წელს ამ დღეს ორი ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდება: პირველი, თბილისს ემატება სრულიად არაჩვეულებრივი, სახელოვნებო სივრცე „საკონცერტო დარბაზი ბელიაშვილზე“ და მეორე, ეს დღე ეძღვნება ისტორიული ჰერეთის, საინგილოს რომ ვეძახით და გულს რომ ვტკენთ ჩვენს თანამემამულეებს, სოფელ ალიბეგლოს თეატრს, რომელიც მთელ მსოფლიოში ერთადერთი ქართულენოვანი, სახელმწიფო სტატუსის მქონე თეატრია საქართველოს ფარგლებს გარეთ და რომელსაც ორმოცწლიანი ისტორია აქვს.

ძვირფასო თეატრალებო 14-ში, 17 საათზე, ბელიაშვილის 22 ნომერში, რესტორან წისქვილის წინ გეპატიჟებით, რათა ერთად ვუმასპინძლოთ აზერბაიჯანში მოღვაწე ჩვენს კოლეგებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

ახალგაზრდა გვიან ღამით ექიმს ურეკავს და ეუბნება:

– ექიმო, ბოდიში, მაგრამ ერთ უხერხულ ადგილას მექავება და რა ვქნა?

– ბიჭო, მამაშენმა უნივერსიტეტში ხომ მოგაწყო?

– დიახ.

– კაი მანქანაც ხომ გიყიდა?

– დიახ, მიყიდა.

– თბილისის ცენტრში კაი ოთხოთახიანი ბინაც ხომ გიყიდა?

– დიახ, მიყიდა.

– მერე, ბიძია, სხვა რა საქმე გაქვს, დაჯექი და იფხანე, რამდენიც გინდა, რას მაღვიძებ მაგის გულისთვის ამ შუაღამისას...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, შეყვარებულს მართლა დაშორდი?

– კი.

– კი მაგრამ, რატომ, მთელი წელი ხვდებოდით ერთმანეთს და...

– ჰოდა, მთელი წელი ტვინს მიჭამდა ძახილით, „არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ“, ჰოდა, დამაჯერა...

●●●

80 წლის პატიმარს ციხეში თანასაკნელები ეკითხებიან:

– რისთვის დაგიჭირეს?

– 17 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის.

პატიმრებს სიცილი აუტყდათ.

– რა გაცინებთ, ისე მომეწონა ბრალდება, რომ უარი ვეღარ ვთქვი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ვალვერდე შესაძლოა ორშაბათს გადააყენონ



ბარსელონას მთავარი მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე შესაძლოა ორშაბათს თანამდებობიდან გადააყენონ.

სწორედ ამ დღეს ბარსელონას დირექტორთა საბჭო სპეციალურ შეხვედრას გამართავს, სადაც მთავარი თემა სწორედ ვალვერდეს მომავალი იქნება.

ბოლო პერიოდში ბარსელონა არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება და ბევრი გულშემატკივარი ვალვერდეს წასვლას ითხოვს. მისი განთავისუფლების შემთხვევაში ბარსელონას, შესაძლოა, ხავი ერნანდესი ჩაუდგეს სათავეში, თუმცა ეს ინფორმაცია მხოლოდ ჭორის დონეზეა.

## ჰარი კეინი 3 თვე ვერ ითამაშებს



ტოტენჰემის ფორვარდმა და მთავარმა ლიდერმა ჰარი კეინმა ბარძაყის საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც მას შესაძლოა ოპერაციაც დასჭირდეს.

კეინს ეს ტრავმა ადრე უკვე აწუხებდა და ამჯერად საქმე უფრო სერიოზულად არის. წინასწარი პროგნოზით, კეინი 3 თვეს გამოტოვებს და მოედანზე მხოლოდ აპრილის შუა რიცხვებში დაბრუნდება.

კეინის ტრავმა ტოტენჰემისთვის სერიოზული პრობლემა იქნება, რადგან მის გარეშე გუნდს უჭირს გოლების გატანა.

## ლუის სუარესი: „წაგება ვალვერდეს ბრალი არ არის“



ბარსელონას ფორვარდმა ლუის სუარესმა ატლეტიკოსთან წაგებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მარცხი ვალვერდეს ბრალი არ არის და დამნაშავეები თვითონ ფეხბურთელები არიან. სუარესის თქმით, ბარსელონამ ბოლო წუთებზე კონცენტრაცია დაკარგა, რის გამოც დაისაჯა კიდეც:

– ეს თამაში არ უნდა წაგვეგო და ყველაფერი მხოლოდ ჩვენი ბრალია. ვალვერდემ ფეხბურთელების შეცდომების გამო პასუხი არ უნდა აგოს. ბარსელონას ასეთი წაგება არ ეკადრება.

ბარსელონამ ესპანეთის სუპერ თასის ნახევარფინალში ატლეტიკოსთან 2:3 წააგო.

## ინტერი ჟირუში 10 მილიონს იხდის



მილანის ინტერი მზად არის, ოლივიე ჟირუში 10 მილიონი გადაიხადოს, თუმცა ჩელსი 15 მილიონს ითხოვს, ამიტომ ფრანგი ფორვარდის ტრანსფერი ინტერში გაჭიანურდა.

ჟირუს ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება, ამიტომ ლონდონელებს, სავარაუდოდ, დათმობაზე წასვლა მოუწევთ.

ჩელსიში ჟირუ იშვიათად გამოდის მოედანზე და მისი წასვლის სურვილი სწორედ ამით არის განპირობებული. ინტერთან ფრანგმა ფორვარდმა ორწლიანი კონტრაქტი შეათანხმა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 11 იანვრისთვის

**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა. საქმიანი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ნუ გარისკავთ. ერიდეთ არასანდო ადამიანებს, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა. **ტყუპები** – გიძლიერდებათ აურა, ასევე იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. კომერციულ ოპერაციებს თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** – მოთმინებით აღიჭურვეთ. ზედმეტი ნერვიულობა საჭირო არ არის. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვების მიმართ. **ლომი** – სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატება გელით. ტაქტიკა სიტუაციის მიხედვით შეცვალეთ. **ქალწული** – კოლეგებისადმი ზედმეტი ნდობა უსიამოვნებას შეგამთხვევთ. მოულოდნელად ვითარება თქვენ საწინააღმდეგოდ იცვლება. **სასწორი** – პირად ცხოვრებას აგრესიულობა და ამბიციურობა გაგირთულებთ. მეორეხარისხოვან დეტალებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. **ღრიანკალი** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ენთუზიაზმით აღსავსე ხართ. გელით ან დიდი სიყვარული, ან გრანდიოზული სკანდალი. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობისთვის სახიფათო დღეა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **თხის რქა** – დღეს ბევრი თქვენგანი წარმატებას მიაღწევს. კარგი იქნება, თუ ეწვევით თეატრს, დაესწრებით კონცერტს. **მერწყული** – მოულოდნელი პრობლემები კვლავ თავს იჩენს. ფინანსური მხარდაჭერა გჭირდებათ. სიამაყე დროებით დაივიწყეთ. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი არნახულად დიდია. მოვლენებს ახლებურად აღიქვამთ. რეკომენდებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

### 12 იანვრისთვის

**ვერძი** – სიმტკიცე და პრინციპულობა დღის დევიზია. ენერგია ბევრი რამისთვის გყოფნით, თუმცა საკუთარი ინტერესების დათმობა მოგიწევთ. **კურო** – დღე აღსავსეა სასიამოვნო მოულოდნელობებით, სიურპრიზებით. ემოციები მოთოკეთ და თავს დასვენების უფლება მიეცით. **ტყუპები** – თქვენში ორგანიზატორული ნიჭი იღვიძებს. ხელმძღვანელობა თამამად განდობთ საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმეებს. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ნებისმიერი წამოწყება კრახისთვის არის განწირული. აჩქარება არ ივარგებს. **ლომი** – შანსი გეძლევათ, დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. თუნდაც ვარსკვლავები არ გწყალობდნენ, საკუთარ თავში მაინც აღმოაჩენთ რესურსს, საჭირო დროს საჭირო საქმე აკეთოთ. **ქალწული** – ფინანსები აკონტროლეთ. თანხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება წარმატებით დამთავრდება. **სასწორი** – ბრმად ნურავის მიენდობით, არც ინტუიციას დაეყრდნოთ. იმოქმედეთ პრაგმატულად და მოვლენები რეალურად შეაფასეთ. **ღრიანკალი** – ძალზე ემოციური დღეა. ეცადეთ, წონასწორობა შეინარჩუნოთ. ანგარიში გაუწიეთ გარშემომყოფთა განწყობასაც. **მშვილდოსანი** – ნურავის მიენდობით. ნებსით თუ უნებლიეთ, ახლობლები და უბრალო ნაცნობები გიღალატებენ და გულს გატკენენ. ჭორებს არ აჰყვეთ. **თხის რქა** – საკუთარ თავსაც და გარშემომყოფებსაც მრავალ მოთხოვნას უყენებთ. გსურთ, ყველაფერი აკონტროლოთ. იმედი გიცრუვდებათ. **მერწყული** – შესანიშნავი დღეა. ნებისმიერ საქმეში ძალიან გიმართლებთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **თევზები** – იფრთხილეთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ, რადგან მისი გამოსწორება საკმაოდ გაგიჭირდებათ. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ლევან გელბახიანს ამომავალი ვარსკვლავის ჯილდო გადაეცემა




ქართველ მსახიობ ლევან გელბახიანს ამომავალი ვარსკვლავის ჯილდო გადაეცემა.

ფილმში „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი 10 ახალგაზრდა ევროპელ მსახიობს შორის მოხვდა. ისინი ბერლინის კინოფესტივალზე ამომავალი ვარსკვლავის ტიტულით წარდგებიან.

საუკეთესო ათეულში არიან ახალგაზრდა მსახიობები საქართველოდან, საფრანგეთიდან, პორტუგალიიდან, ნიდერლანდებიდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან, ესტონეთიდან, პოლონეთიდან, დანიიდან და შვეიცარიიდან.

ლევან გელბახიანი საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა წარადგინა, რომელიც 37 ქვეყნის კინოორგანიზაციისგან შემდგარი „ევროპული კინოს პრომოუშენის“ საერთაშორისო ქსელის წევრია.

ბერლინალეს მსვლელობისას ლევან გელბახიანს უცხოელ კოლეგებთან ერთად მოუწევს, პირისპირ შეხვდეს კასტინგის წამყვან დირექტორებს, პროდიუსერებსა და რეჟისორებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ამერიკელი მსახიობი მოდური ჟურნალისთვის გაშიშვლდა




პოპულარულმა ამერიკელმა მსახიობმა და მომღერალმა ზოი კრავიცმა მოდური ჟურნალის Elle-ს გარეკანისთვის გაიხადა. კადრები ფოტოსესიიდან ინსტაგრამში მის გვერდზეა გამოქვეყნებული.

ერთ-ერთ ფოტოზე გოგონა სრულიად შიშველი პოზირებს, ხოლო ხელები და ფეხები ისე აქვს გადაჯვარედინებული, რომ მის ინტიმურ ადგილებს ფარავს. ამავე დროს, მას უკეთია ნიჟარებისა და მსხვილი მარგალიტებისგან დამზადებული მასიური მძივი.

მეორე ფოტოზე შავი ფერის უცნაურად ღრმად ამოჭრილ, გოფრირებულ კაბა-ბანდოში გამოწყობილი მსახიობი იატაკზე წევს. გარდა ამისა, მომღერალი კამერის წინ ასევე წარდგა მუქი ფერის სამკუთხა ბიუსტჰალტერითა და ხელებზე წამოცმული დამოუკიდებელი სახელოებით.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 2. გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი; 3. ცოცხლადმშობელი თევზი; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 8. თავაშვებული დროსტარება, ქეიფი; 11. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი. 16. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 17. ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი; 18. მოკლე მისასალმებელი სადღეგრძელო.

**თარაზულად:** 1. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 5. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 7. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და პარიზის „პსჟ“-ს ფეხბურთელი; 10. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. ქორშევარდენთა გამწვრთნელი; 14. ადენის ყურის სანაპიროსთან მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 15. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ორგანიზმში; 19. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 20. საწყალოსნო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 22. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

